ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 23 იანვარი, 2013 | №18 (6019) | ფასი: 30 თეთრი

23 იანვრიდან
„ახალი თაობა“
+
მარია კიური
8 ლარი



პეტრე მამრაძე: „ბობოხიძე პარლამენტში სულ მთვრალი დადიოდა და დედას იგინებოდა“ გვ.2

ილია II: „აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება კავკასიაში არსებული პრობლემების მოგვარების საფუძველი იქნება“

დღეს საქართველოს პატრიარქი ჩესეთის პრეზიდენტს შეხვდება

გვ. 3

სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრების სატელეფონო მომსახურებას მაგთიკომი განახორციელებს

ჩოგორც კომპანია მაგთიკომში აცხადებენ, მთავარია ტენდერი გამოცხადდეს და მათ აქვთ ყველა პირობა და საჭირო ჩესურსი, რომ მომსახურება უმაღლესი – მაგთისეული ხარისხით განახორციელონ.

გვ.5

სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერები ავლაბრის რეზიდენციასთან გროვდება

გვ. 6

ჟურნალი „სარკე“ 15 წლის გახდა

გვ. 3

ვახტანგ ხმალაძე: „საპარლამენტო რესპუბლიკაზე უნდა გადავიდეთ“

გვ.3

ნუგზარ წიკლაური: „სომხეთი საქართველოს მაგალითად გვ.4 არ გამოადგება“

გვ.3

ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალების საქმეში გამოძიებამ სერიოზულ გარემოებებს მიაკვლია

22 იანვრიდან!
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
ილია ჭავჭავაძე
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი

6 „გიორგი ბარათელის საქმე ხელახლა უნდა გამოიძიონ“

5 ნანა დევდარიანი: „სააკაშვილი არის ტიპური მაბეზღარა“

3 ვაშაკიძემ საგარეო საქმეთა სამინისტრო დატოვა

4 შსს-მ მოხუცი ცოლ-ქმრის დაყაჩაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

ვაშაკიძემ საგარეო საქმეთა სამინისტრო დატოვა

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე დაკავებული თანამდებობიდან გადადგა.

ნიკოლოზ ვაშაკიძე თანამდებობიდან გადადგომის გადაწყვეტილებას დღევანდელ საგარეო პოლიტიკურ კურსთან და სტილთან მისი შეუთავსებლობის მიზეზით ხსნის.

– ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი იყო შეუთავსებლობა დღევანდელ საგარეო პოლიტიკურ კურსთან და სტილთან. სხვას ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით, ეს სერიოზული საუბრის თემაა და ახლა მხოლოდ ამით შემოვიფარგლოთ, – აცხადებს ვაშაკიძე.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის უკვე ყოფილი მოადგილე აცხადებს, ჯერ არ გადაუწყვეტია, სად გააგრძელებს მუშაობას. ამ ეტაპზე ის დასვენებას აპირებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძემ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა.

საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, ნიკოლოზ ვაშაკიძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მომხრე არ არის.

აღნიშნული განცხადება ვაშაკიძემ ჟურნალისტების იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომლის თანახმად, რამდენად მოსალოდნელია, რომ ფანჯიკიძის ყოფილი მოადგილე უმცირესობის გვერდზე აღმოჩნდეს.

– მე არ ვარ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მომხრე. ჯერ ცოტას დავისვენებ, ბოლო თვეების განმავლობაში ძალიან ინტენსიურ რეჟიმში მომიწია საქმიანობა, – განაცხადა ვაშაკიძემ.

ნიკოლოზ ვაშაკიძე იყო ერთადერთი მაღალჩინოსანი, რომელიც დათანხმდა ახალი ხელისუფლების შეთავაზებას, რომ პოსტზე დარჩენილიყო და ახალი ხელისუფლების სახელით გაეგრძელებინა საქმიანობა.

ვაშაკიძემ განმარტა მიღებული გადაწყვეტილების მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუბარია საგარეო კურსთან შეუსაბამობაზე და იქვე დასძინა, რომ ეს ეხება მათ შორის რუსეთთან ურთიერთობასაც.

ნიკოლოზ ვაშაკიძე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობას გრიგოლ ვაშაძის მინისტრობის პერიოდშიც იკავებდა. ვაშაკიძე საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე იყო.

ნიკოლოზ ვაშაკიძის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა საგარეო საქმეთა მინისტრი.

მაია ფანჯიკიძისთვის გაუგებარია, რას გულისხმობდა ნიკოლოზ ვაშაკიძე საგარეო კურსის ცვლილებაში. როგორც ჟურნალისტებს მაია ფანჯიკიძემ ნიკოლოზ ვაშაკიძის მის მოადგილეობიდან გადადგომის კომენტირებისას განუცხადა, ვაშაკიძემ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა.

– მე მას გუშინ ვესაუბრე, ვთხოვე დარჩენილიყო დიპლომატიურ სამსახურში, შევთავაზე ელჩობა რამდენიმე ქვეყანაში. მას ჰქონდა არჩევანი, რომ აერჩია, რომელ ქვეყანაში სურდა, მაგრამ მან ეს არ მოინდომა და დატოვა სამინისტრო, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მინისტრის თქმით, რამდენადაც მისთვის არის ცნობილი, ვაშაკიძემ უკვე გააკეთა წასვლაზე კომენტარი, „ამიტომ ჩავთვალოთ, რომ ეს არის მიზეზი“.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ვაშაკიძემ თანამდებობის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება სომხეთის ვიზიტის შემდეგ მიიღო, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

– სომხეთში ბატონი ნიკოლოზ ვაშაკიძე არ ყოფილა, ამიტომ ეს არ შეესაბამება სიმართლეს, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

პეტრე მამრაძე: „ბობოხიძე პარლამენტში სულ მთვრალი დადიოდა და დედას იგინებოდა“

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ ნევრ პეტრე მამრაძესთან

– ბატონო პეტრე, ახლახან ზუგდიდში ადამიანები სასამართლომ 100-100 ლარით დააჯარიმა იმის გამო, რომ აკაკი ბობოხიძეს კვერცხი ესროლეს და ცოცხი მოუქნიეს. ცოტა მეუხერხულება თქმა, მაგრამ თქვენ ბობოხიძემ მუშტები რომ დაგიშინათ პარლამენტის სხდომაზე, რომლის ტრანსლაცია ხდებოდა ქვეყნის მასშტაბით, პასუხი არავის მოუთხოვია.

– რა არის აქ უხერხული. მე ამას ტელეგადაცემებში ძალიან ხშირად ვუხსენებ ბობოხიძეს. საჯარო პიროვნება ვარ და არავითარი პრობლემა არ მაქვს. სრულიად შეგნებულად, მაშინ არც კი გავიხედე ბობოხიძისკენ, არათუ წინააღმდეგობა არ გამიწევია.

– თუმცა, ფაქტია, რომ თქვენ ბობოხიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მოგაყენათ, მაგრამ მისთვის ამის გამო პასუხი არავის მოუთხოვია. ბობოხიძეკი, მის მიმართ ნასროლი კვერცხის და მოღერებული ცოცხის გამო, „ოცნებელებს“, სამართლებრივ პასუხისგებას არ სჯერდება და პოლიტიკურ პასუხისმგებლობასაც აკისრებს.

– ეს არის მკაფიო მაგალითი იმისა, რა იყო შერჩევითი სამართალი სააკაშვილის რეჟიმის დროს. შეგახსენებთ, რომ აკაკი ბობოხიძე ტელესტუდიაში თავს დაესხა ჟურნალისტ იმნაიშვილსაც, მაგრამ ამის შემდეგ დაწინაურდა და გვარდიის სარდალი გახდა. არადა, საქართველოს კანონმდებლობით, ადამიანი ჩივის თუ არა, როცა დანაშაული ხდება და ის ფიქსირდება...

– თან ღია ეთერში პარლამენტის წევრს თავს რომ ესხმის..

– პროკურატურა ვალდებულია, საქმე აღძრას. სხვათა შორის, ამერიკელი დიპლომატის დენიელ ფრიდის სიტყვებს ვციტირებდი 2008 წლის ომთან დაკავშირებით, როდესაც ბობოხიძე მომვარდა, საფეთქელში დამარტყა და თან ჩემი მისამართით უწმაწურად იგინებოდა. მაშინ ჩემმა მეგობრებმა დამარწმუნეს, არავითარი ჩივილი საჭირო არ არის, პროკურატურა ვალდებულია, კანონის შესაბამისად აღძრას საქმე, გამოძიება აწარმოოს და საქმე გადასცეს სასამართლოსო. არაფერი არ გაკეთებულა. სწორედ ეს ადამიანი, ღია ეთერში ორჯერ დაფიქსირდა თავისი ხულიგნური მოქმედებით. მისი და მისი ძმის კრიმინალური პროფილი მთელმა საქართველომ ნახა. მგონი, „მაესტროზე“ იყო ჟურნალისტური გამოძიების შედეგები.

– სააკაშვილის პროკურატურის უმოქმედობა და შერჩევითი სამართალი არის სწორედ მიზეზი იმისა, რომ დღეს ბობოხიძე აქტიურ პოლიტიკურ ფიგურად წარმოგვიდგენს თავს და ხმალამოღებული იბრძვის ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ?

– დიახ, მისი ხულიგნური ქმედებები არაერთხელ დაფიქსირდა ღია ეთერში და ვინ იცის, კიდევ რამდენი დაუფიქსირებელი ფაქტია. პარლამენტში 1993 წელს სულ მთვრალი მოდიოდა და სულ დედას იგინებოდა.

– მართლა?

– დიახ, შევარდნაძეს შეაგინა დედა და პირდაპირ ეთერში იყო გადაცემული.

– შევარდნაძემ რა უთხრა?

– შემდეგ შევარდნაძეს ეხვეწებოდა, არ გადადგეო.

– ალბათ, გინების საკომპენსაციოდ.

– არა, ამ დროს სოხუმი ეცემოდა და, ეტყობა, პანიკაში ჩავარდა.

– რუსთაველზე შევარდნაძეს რომ უჩოქებდნენ, არ გადადგეო, მაშინ ეხვეწებოდა ბობოხიძე?

– 2-3 წლის წინ, არქივიდან აჩვენეს კადრები, როცა ბობოხიძე სრულიად ახალგაზრდაა და ეხვეწება შევარდნაძეს, არ გადადგეო. ასევე არქივიდან არაერთხელ იყო ნაჩვენები კადრები, შევარდნაძისკენ რომ იქაჩება, დედას აგინებს და უშვერი სიტყვებით ელაპარაკება, რაც არასოდეს არ უნდა აკადრო არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურს და პრეზიდენტს, არამედ საკუთარ თავს.

– ასე რომ, ბობოხიძე ხულიგნური თვალსაზრისით, საკმაოდ „კოლორიტულ“ პიროვნებად გამოიყურება.

– ამაზრზენი ქცევის კოლორიტია, თუ „კოლორიტზეა“ საუბარი, მაგრამ ვინ არის დღეს ბობოხიძე? დღეს ბობოხიძე არის ფრაქციის თავმჯდომარე. ამით ყველაფერია ნათქვამი. გადავხედოთ ნაციონალური მოძრაობის შემადგენლობას პარლამენტში. სააკაშვილს შეეძლო შეერჩია ამ ადამიანებს შორის უფრო მისაღები სახე, ცნობილი თავშეკავებულობითა და კორექტულობით. მაგალითად, დათო ბაქრაძე, როგორც ნაციონალი, შეიძლება ბობოხიძეზე უარესია, მაგრამ ვერავინ დააბრალებს ბაქრაძეს, რომ მთვრალი მიდის, იგინება და ხელებს იქნევს. ეს იყო სააკაშვილის გადაწყვეტილება.

– რატომ მიიღო სააკაშვილმა ეს გადაწყვეტილება, ბობოხიძე უფრო კარგად ასახავს ნაციონალების ანატომიას?

– კი. სააკაშვილი უკვე ვეღარავის ენდობა, გარდა ისეთი კრიმინალებისა და კრიმინალური ელემენტებისა, როგორიცაა ბობოხიძე და ლევან მაისურაძე (ვანო მერაბიშვილი – გ.ბ.)

– როგორ აფასებთ პროკურატურის მიერ გავრცელებულ ახალ ამაზრზენ მასალებთან დაკავშირებით, თვითონ სააკაშვილის რეაქციებს და მის რაღაც გაუგებარ ინიციატივებს? მოვიდნენ ხელისუფლებაში, ხალხის ზურგზე ჯიბეები გაისქელეს და ახლა სააკაშვილი ინიციატივით გამოდის, ვაპატიოთო, რომ პასუხისმგებლობა არ დაეკისროთ. რაღაც ალოგიკური მოთხოვნები არ აქვს სააკაშვილს?

– სააკაშვილის გამოსვლები იმდენად დაემსგავსა ბოდვას, პირადად მე ორი-სამი ადამიანი, რომელიც სააკაშვილთან დღესაც ახლოსაა, მარწმუნებდა, რომ ის რაღაც ნივთიერებითაა გაჟღენთილი და, რა მოეთხოვება, ჭკუაზე არ არისო.

– რით არის გაჟღენთილი სააკაშვილიო?

– რაღაც ნივთიერებით, რომელშიც აშკარად ნარკოტიკები იგულისხმებოდა. იმხელა დოზას ღებულობს და ისეთ დღეშია, ქვეყანა სულ სხვანაირად ეჩვენება, ვიდრე არისო. ამაზე გამახსენდა სი ენ ენ-ის კორესპონდენტის სიტყვები, რომელიც სი ენ ენ-ზე ლაზიკასთან დაკავშირებთან გასულ გადაცემაში გაჟღერდა – ლაზიკა არის კოკაინის მწეველის ზმანებაო. შემდეგ მე დავწერე წერილი, „კოკაინის მწეველის ზმანება“. რა თქმა უნდა, აგონია სახეზეა. ახლახან ციხიდან გამოუშვეს ადამიანები, რომლებსაც მიშა სააკაშვილმა, მერაბიშვილმა და ადეიშვილმა დააბრალეს ჯაშუშობა აბსოლუტურად ტყუილად. ზოგიერთი სასტიკად აწამეს იმისათვის, რომ ჯაშუშობა დაებრალებინათ. თეთრაძეს, პოლკოვნიკ კაცს, ამ გმირ კაცს, სული ამოხადეს, წამების დროს შემოაკვდათ. ეს ადამიანები გამოსული არიან გარეთ და ყვებიან ყველაფერს, რასაც უშვრებოდნენ და როგორ წაუყენეს ბრალდებები ისე, რომ მტკიცებულებები არ წარუდგენიათ. წაიკითხონ, რას ყვება ვახტანგ მაისაია, რომელსაც ნატოს სასარგებლოდ ჯაშუშობას აბრალებდნენ და ფეეხებეს მაღალჩინოსანი შეახვედრეს ციხეში. ეს არის საშინელი დარტყმა სააკაშვილისა და მისი თანამზრახველებისათვის. ამიტომ უწყვეტ რეჟიმში ყვირის, რასაც ყვირის.

– პროკურატურამ გაავრცელა ამაზრზენი კადრები, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში მათი მითითებით გადაიღებოდა. იმის მაგივრად, რომ პასუხისმგებლობა აიღოს მომხდარ დანაშაულზე, ახლა გამოდის და აცხადებს, აბა, გაიხსენეთ, მსგავსი რამ ჩემს დროს თუ გავრცელებულაო. თქვენ გაახსენებდით რაიმე ფაქტებს?

– სააკაშვილის მოქმედებაზე თუ ვისაუბრებთ, ამაზრზენია სწორედ ის, რაც მან თქვა – მსგავსი ფაქტების მოპოვება თუ დანაშაულია, მაშინ გავრცელებაც დანაშაული არისო.

– ანუ აღიარა.

– მან არ დაგმო ის სისასტიკე, რასაც იმსახურებდა ის კადრები. როდესაც სახელმწიფო მოხელეები, სახელმწიფო სამსახურში მყოფი ადამიანები ბინძური მეთოდებით (ფულის გადახდით და სხვა) აგროვებენ ასეთ მასალებს, ამისთვის საბიუჯეტო სახსრებით ბინას ქირაობენ, სადაც მიჰყავთ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები მოტყუებით იმისათვის, რომ შემდეგ გადაუღონ და საშანტაჟო კომპრომატები ჰქონდეთ, პრეზიდენტმა ჯერ სასტიკად უნდა დაგმო და მერე თქვა, რომ მიზანშეუწონელია ამის გავრცელება. ჯერ ერთი, ტელევიზიით გავრცელებულ კადრები ისეა წარმოდგენილი, ცნობა შეუძლებელია. მეორეც – პროკურატურას უნდოდა ეჩვენებინა, რასთან გვაქვს საქმე. ჯერჯერობით, სააკაშვილის მორჩილმა სასამართლომ არ გაითვალისწინა პროკურატურის მოთხოვნები ამ საქმესთან დაკავშირებით. გავიხსენებ 1999 წლის არჩევნების შემდეგ გამოქვეყნებულ სკანდალურ ფირს სააკაშვილის შესახებ, რომელიც მას აჭარაში გადაუღეს, როცა პრეზიდენტი არ იყო და თბილისში ხელიდან ხელში გადადიოდა. ფირზე აშკარად ჩანს, რომ სააკაშვილია, ბათუმის სასტუმროს ნომერში მარტოა, ელაპარაკება ქალს და... ამ ხელა კაცი ცოლ-შვილის პატრონი.

– როგორც ჩანს, სააკაშვილს ეშინია, თავისზე გადაღებული უმსგავსოების ამსახველი ფირები არ გამოქვეყნდეს.

– შავნაბადის რეზიდენციის პერსონალი მიყვებოდა, რომ დღე არ გაივლის, სააკაშვილი არ გადმოვიდეს მანქანიდან ორი-სამი ქალის თანდასწრებით და არ ჩაიკეტოს საეჭვო ქცევის ქალებთან ერთადო. არ არის გამორიცხული, პრეზიდენტის ამგვარი ქცევის კადრები ჰქონდეს ლევან მაისურაძეს.

– ვის ჰქონდეს?

– ლევან მასურაძეს. ლევან მაისურაძე ხომ ვანო მერაბიშვილის ფსევდონიმია.

– სააკაშვილს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა გაუვიდა, მაგრამ მაინც ძალაობს, რომ კიდევ ერთი წელი დარჩეს. როცა მათ დიდი უფლებები ჰქონდათ, ასეთ ბინძურ საქმიანობას ეწეოდნენ და ათასგვარ სიბინძურეზე მიდიოდნენ. ამ ადამიანებს რაიმე ბავშვობისდროინდელი პრობლემები მოსდევთ და ამიტომ იქცეოდნენ ასე? სხვა შემთხვევაში, რატომ უნდა გააკეთო ისეთი რამ, რასაც მეგისი ქარდავა უკეთებდა ორგანიზებას?

– ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ მსგავსი ტიპის ადამიანებს – ფსიქოპატებს, სადისტებს, როგორც წესი, არაჯანსაღი პირობები ჰქონდათ, ფსიქიკური ტრავმებით ჩასვეს. ან მსგავსი პათოლოგია გენეტიკურადაა გადაცემული. ვინც სააკაშვილის ოჯახს ახლოს იცნობდა და მისი ბავშვობა ახსოვს, მათგან ვიცი, რომ მისი ბავშობა ძალიან მძიმე იყო.

– ასეთი რა პრობლემები ჰქონდა?

– განუწყვეტლივ უწევდა მკურნალობა. მეუხერხულება ამაზე საუბარი, რადგან სხვებისაგან ვიცი, რომ მძიმე ვითარება იყო ოჯახში, მძიმე ვითარება ჰქონდა მასაც და ბავშვს სულ მკურნალობდნენ.

ვანო მერაბიშვილი: „ქვეყანა სერიოზული საბიუჯეტო კრიზისის წინაშე დგას“

პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, საქართველო სერიოზული საბიუჯეტო კრიზისის წინაშე დგას.

მერაბიშვილის თქმით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების კლების ერთერთი მიზეზი, ხელისუფლების მიერ ბიზნესზე განხორციელებული ზეწოლაა, რასაც ემატება ისიც, რომ დღევანდელი მთავრობას არ აქვს ეკონომიკური განვითარების ერთიანი და მკაფიო გეგმა.

„საქართველო დგას სერიოზული საბიუჯეტო კრიზისის წინაშე. იმ მონაცემების თანახმად, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ექსპერტებმა მოვიპოვეთ, საწარმოთა დღგ-ს ბრუნვები, რაც მათ აქტივობას ასახავს, ოქტომბერში 6 პროცენტი იყო, ნოემბერში 3,6 პროცენტი, ხოლო დეკემბერში ამ მაჩვენებელმა მინუს 5,2 პროცენტი შეადგინა. ეს კატასტროფული მაჩვენებელია.

მსგავსი მონაცემები, რომ ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ყოფილიყო, მთავრობა მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდოდა, მასში ხელისუფლების ყველა შტო ჩაერთვებოდა და ერთად იფიქრებდნენ თუ როგორ გამოსულიყვნენ ასეთი მძიმე მდგომარეობიდან“ – განაცხადა მერაბიშვილმა.

ნიუსპრესი

გასწორება

„ახალი თაობის“ 22 იანვრის ნომერში გაიპარა შეცდომა. მასალაში „ივანიშვილის და გარეგინ II შეხვედრა აუცილებელი იყო“ რესპონდენტად მითითებულია სოსო ცისკარიშვილი. ეს იყო ჟურნალისტის მექანიკური შეცდომა. ინტერვიუ ჩაწერილია სოსო ცინცაძესთან. „ახალი თაობა“ ამ შეცდომისთვის ბოდიშს უხდის ბატონებს სოსო ცისკარიშვილს და სოსო ცინცაძეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ვახტანგ ხმალაძე: „საპარლამენტო რესპუბლიკაზე უნდა გადავიდეთ“

ნათია ხურცილავა

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ საეთო-სახალხო განხილვა გუშინ კომისიის ნევრებმა მედიისა და ახსამთვარობო სექტორის ნარმომადგენლებთან გამართეს.

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, დაგეგმილია მოქმედი კონსტიტუციის არსებითი ცვლილება და კლასიკურ საპარლამენტო მოდელზე გადასვლა, რომლისთვისაც ზოგადად პრეზიდენტის ირიბი და არაპირდაპირი არჩევის ინ-

სტიტუტია დამახასიათებელია.

ხმალაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით არანაირი ოფიციალური წინადადება არც უმრავლესობიდან და არც რომელიმე ფრაქციის მხრიდან წარდგენილი არ არის. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ პირადად მისი აზრით, თუ არსებული საკონსტიტუციო მოდელი საპარლამენტო რესპუბლიკის კლასიკური ვარიანტით შეიცვლება, უმჯობესი იქნება, თუ პრეზიდენტი არაპირდაპირი წესით აირჩევა.

– მთელ მსოფლიოში, სადაც საპარლამენტო რესპუბლიკაა, ორი თუ სამი ქვეყანაა, სადაც პრეზიდენტი პირდაპირი გზით აირჩევა. საპარლამენტო რესპუბლიკებში ძირითადად პრეზიდენტები არაპირდაპირი წესით აირჩევიან. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. კერძოდ ის, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელი. შესაბამისად, მას ვერ ექნება ვერანაირი პროგრამა ქვეყნის განვითარებისა. მას არანაირი ბერკეტი არ გააჩნია და რა თემაზე უნდა გამართოს შეხვედრა ამომრჩეველთან?! ასევე, საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის ფუნქცია ძირითადად არბიტრის ფუნქციაა, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებების დაცვას და რომელიც პოლიტიკურად აქტიური ხდება მაშინ, თუ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი წარმოიქმნება, ანუ ხდება დაპირისპირება მთავრობასა და პარლამენტს შორის, – აცხადებს ვახტანგ ხმალაძე.

მან ამ კონტექსტში პრეზიდენტის ირიბი წესით არჩევის კიდევ ერთ უპირატესობასაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ პირდაპირი წესით არჩეულმა პრეზიდენტმა შესაძლოა, მოითხოვოს უფლებამოსილებების გაზრდა და ასე რომ არ მოხდეს, უპირატესობა მის არაპირდაპირი გზით არჩევას ენიჭება.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, არანაირი განხილვა და მსჯელობა იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტი არაპირდაპირი გზით იქნეს არჩეული, უმრავლესობაში არ არის.

როგორც ხმალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, ეს არის მხოლოდ მოსაზრება, რომელიც მან გამოთქვა და მისაღები იქნება იმ შემთხვევაში თუ საქართველო კლასიკურ საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადავა.

– მე არანაირი განცხადება და ინიცირება არ გამიკეთებია იმისა, რომ პრეზიდენტი არაპირდაპირი გზით, არამედ ირიბი არჩევნებით პარლამენტის მიერ იქნეს არჩეული. არანაირი ასეთი წინადადება არც უმრავლესობაში და არც რომელიმე ფრაქციაში არ განიხილება. უბრალოდ, ჩვენ ნათქვამი გვაქვს, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაზე უნდა გადავიდეთ, სადაც იშვიათი გამონაკლისის შემთხვევაში, პრეზიდენტი პირდაპირი გზით არ აირჩევა. ასეთ კლასიკურ საპარლამენტო რესპუბლიკებში მას აკისრია არბიტრის ფუნქცია, რომელიც თვალყურს ადევნებს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებების აღსრულებას. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტს არ შეიძლება, ჰქონდეს პროგრამა ქვეყნის განვითარებისთვის, ვინაიდან ის არ წარმოადგენს ქვეყნის აღმსრულებელ ხელისუფლებას და არ გააჩნია მისი აღსრულების ბერკეტები, ასე რომ, ჩნდება კითხვა, რაზე უნდა ელაპარაკოს ის ამომრჩეველს? საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის ინსტიტუტი აქტუალური ხდება მაშინ, როცა წარმოიშვება პოლიტიკური კრიზისი, – განაცხადა ხმალაძემ.

ხმალაძის აზრით, უკეთესი იქნება თუ პრეზიდენტის არჩევა მოხდება არაპირდაპირ გზით, იმ შემთხვევაში, თუკი, არსებული საკონსტიტუციო მოდელი შეიცვლება კლასიკური საპარლამენტო მოდელით და არა იმ მოდელით, რომელიც ოქტომბრის შემდეგ უნდა ამოქმედდეს და სადაც პრემიერს უფლებები გაზრდილი აქვს და ხმალაძის აზრით, ესეც არ არის სწორი.

– როცა ქვეყნის სათავეში პარანოიდული კაცია, უნდა გქონდეს პარანოიდული შიში, – ეს განცხადება იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა, ვახტანგ ხმალაძემ საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო სახალხო განხილვის კომისიის სხდომის ფორმატში ლევან თარხნიშვილის საპასუხოდ გააკეთა, რომელმაც ინიცირებული კანონპროექტი ერთი მხრივ, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ სულსწრაფობას და ასევე მთავრობის დათხოვნასთან დაკავშირებით მის პარანოიდურ შიშებს დაუკავშირა.

– ჩვენ მიერ მომზადებულ პროექტში საუბარია იმაზე, რომ ასანთი გამოვართვათ ამ ადამიანს ხელიდან, ერთბაშად რომ არ დაიქცეს ყველაფერი. რამდენად კარგად იმუშავებ მაშინ, როდესაც იცი, რომ შენს თავზე კანაფით ნაჯახია დაკიდებული. ჩვენ გვსურს, სწორედ ეს ნაჯახი გამოვართვათ მას ხელიდან და ჩაქუჩი თუ უნდა ეჭიროს, – განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა საპასუხოდ, რომლებიც საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის იმ ნაწილს, რომლის საფუძველზეც პრეზიდენტის უფლებამოსილებები მთავრობისა და პარლამენტის დათხოვნასთან მიმართებაში გადაიხედება, კატეგორიულად არ ეთანხმებიან.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პარლამენტში ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში კრიზისის გამოწვევის თეორიულ შესაძლებლობას ხედავს.

ეს საკონსტიტუციო პროექტის იმ ნაწილს ეხება, რომელიც პრეზიდენტის მიერ პარლამენტის შეუზღუდავად დათხოვნას გულისხმობს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კიდევ ერთხელ აფიქსირებს, რომ საჭიროა, პარლამენტს ჰქონდეს 6-თვიანი იმუნიტეტი, როცა მას პრეზიდენტი ვერ დაითხოვს.

ჟურნალი „სარკე“ 15 წლის გახდა

ნათია ხურცილავა

ჟურნალი „სარკე“ დიდი ხანია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ძალაა ქართულ მედიასივრცეში. დღეს, 23 იანვარს, მას 15 წელი შეუსრულდა. გვესაუბრება ჟურნალის მთავარი რედაქტორი, მედეა სანაია.

– ქალბატონო მედეა, როგორ გაიხსენებთ იმ პერიოდს, როდესაც ჟურნალ „სარკეზე“ იწყებდით მუშაობას? როგორ დაიწყო ეს ყველაფერი...

– 1997 წლის შემოდგომაზე, სრულიად მოულოდნელად, სოსო გოგინაშვილმა, გაზეთ „ახალი თაობის“ მთავარმა რედაქტორმა, მითხრა, რომ ჟურნალი გაგვეკეთებინა. მაშინ მეც „ახალ თაობაში“ ვმუშაობდი, რედაქტორის მოადგილე ვიყავი. მახსოვს, როგორ მითხრა: „ახლა მომწიფდა დრო, ჟურნალი გამოვცეთ“. ყოველთვის გვქონდა საუბარი, ჟურნალი გამოგვეშვა, რომელიც ყველა სფეროს მოიცავდა, მკითხველის ყველა ინტერესს დააკმაყოფილებდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, ეს რა პერიოდი იყო, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი. რა ძნელი იყო ზოგადად ბეჭდვა. არათუ ჟურნალის, გაზეთის გამოცემაც რა სირთულეს ქმნიდა. როდესაც ფეხზე დადგა გაზეთი „ახალი თაობა“, მაშინ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ შემდეგ ეტაპზე გადავსულიყავით. ეს ეტაპი ყოველკვირეული ჟურნალი იყო.

– სახელწოდება „სარკე“ როგორ გაჩნდა?

– როგორც კი მითხრა სოსომ ამის შესახებ, მე მაშინვე ვუთხარი, „სარკე“ დაგვერქმია. სხვა ვარიანტი არც კი განხილულა. შემდეგ იყო დაახლოებით ორთვიანი მოსამზადებელი პერიოდი. მასალებს ვაგროვებდით, ვწერდით ინტერვიუებს. ვფიქრობდით რუბრიკებზე. გადაწყვეტილების მიღებიდან ძალიან მალე, 1998 წლის 23 იანვარს, გამოვიდა „სარკის“ პირველი ნომერი.

– გახსოვთ, პირველი ნომერი როგორი იყო?

– რა თქმა უნდა, ყველაფერი მახსოვს. მახსოვს ყველა მასალა, რომელიც დაიბეჭდა პირველ ნომერში. „თვითმფრინავის ბიჭების“ თემით დაიწყეთ ჟურნალის გამოშვება. ინტერვიუ გვქონდა ქალბატონ ნათელა მაჭავარიანთან, გეგა კობახიძის დედასთან, რადგან ეს საკითხი ჩემთვის და ჩემი თაობისთვის ძალიან მტკივნეული იყო, თანაც ამ მოვლენიდან არც ისე დიდი დრო იყო გასული. ამ თემაზე მუშაობა შემდეგ ნომრებშიც გაგრძელდა, რასაც სტატიების ციკლი მოჰყვა. ახლა უკვე უნიკალური სტატიები გვაქვს არქივში ამ საკითხზე, ინტერვიუები ძმებ ივერიელების მამასთან, სოსო წერეთლის მამასთან, ბატონ კოტე წერეთელთან. თანდათან, წლების განმავლობაში, თემები, რუბრიკები ყალიბდებოდა. მკითხველის რეაქციები გვკარნახობდა, რა გაგვეკეთებინა, მკითხველს რა აინტერესებდა.

– რთულ პერიოდს როგორ გაიხსენებთ?

– პირველი წელი იყო ძალიან რთული. ზოგადად ქვეყნისთვის იყო რთული წლები. რთულად მივიკვლევდით გზას. ადვილი არ იყო, რომ მკითხველს სიახლე მიეღო. წინასწარი პიარსამუშაოები მაშინ არც არსებობდა და არც ჩვენ გვქონდა მათი ჩატარების შესაძლებლობა. იმდენად გვიჭირდა, რომ არაერთხელ გვიფიქრია, საერთოდ ხომ არ შეგვწყვიტა ეს საქმე. მეორე წელს კი უცებ მოვიდა დიდი აღიარება. მთელ საქართველოში „სარკე“ სალაპარაკო თემა გახდა. ინფორმაცია, რომელიც ჟურნალში იბეჭდებოდა, ყოველთვის საინტერესო და მართალი უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკითხველი არ გვეყოლებოდა. 15 წლის განმავლობაში მთელი გზა ჩვენს მკითხველთან ერთად გამოვიარეთ. ზუსტად ისე გვიჭირდა და გვილხინდა, როგორც ჩვენს მრავალათასიან მკითხველს, მთელ საქართველოს. საბოლოოდ კი „სარკე“ ხალხის განუყოფელ ნაწილად იქცა.

– ამ რთულ მედიაბაზარზე წლების განმავლობაში წამყვანი პოზიციის შენარჩუნება როგორ მოახერხა ჟურნალმა?

– არასდროს არაფერი იმალება, ყოველთვის ყველაფერი ზედაპირზე დევს. ჩვენ ჟურნალისტურ პრინციპებთან კომპრომისზე არასდროს წავსულვართ. მთელი ეს წლები დამოუკიდებლად გამოვიარეთ, სრულიად თავისუფლად გარეძალებისგან. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ხელისუფლებისთვის იყო მსუყე და გემრიელი ლუკმა, მაგრამ „სარკეს“ თავისი პრინციპი არ გაუყიდია. ყოველთვის გვეკითხებოდნენ, ვინ იდგა ჩვენ ზურგს უკან. მაშინაც ვპასუხობდით და ახლაც ასე ვუპასუხებთ: ჩვენ ზურგს უკანაც, წინაც და გვერდითაც ყოველთვის მკითხველი იდგა. ჩვენ გვაფინანსებს ჩვენი მკითხველი. შემოსავლის ერთადერთი წყარო არის ჩვენი საქმე.

15 წლის განმავლობაში იყო შეცდომებიც, პრობლემებიც, მაგრამ არასდროს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ჟურნალ „სარკეში“ არიან ერთგული თანამშრომლები, რომლებმაც მთელი 15 წელი ჟურნალთან ერთად გამოიარეს. ვისაც კი „სარკეში“ ერთგულად უმუშავია, ყველას დიდ მადლობას ვუხდით. ყველამ თავისი წვლილი შეიტანა ჟურნალის განვითარებაში. როგორც ჩანს, საჭირო იყო, რომ ჟურნალი „სარკე“ გამოსულიყო, რაშიც ღმერთი დაგვეხმარა. ღვთის ნება ჩანს იმაშიც, რომ რთული გზა გამოვიარეთ და აქამდე მოვედით. ამისთვის უფლის მადლობლები ვართ.

– გმადლობთ. წარმატებებს გისურვებთ.

ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალების საქმეში გამოძიებამ სერიოზულ გარემოებებს მიაკვლია

ნათია ხურცილავა

შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 10 თვის ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალების საქმეში გამოძიებამ სერიოზულ და ახალ გარემოებებს მიაკვლია.

– სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, რომ ამ ინციდენტზე არ მომხდარა სწრაფი რეაგირება და საგამოძიებო სამუშაოების ჩატარება ცხელ კვალზე, რის გამოც გამოძიება იმ ეტაპისთვის ჩიხში შევიდა. ახლა გამოძიება მიმდინარეობს და გამოიკვეთა კიდეც სერიოზული და ახალი გარემოებები, თუმცა ჯერ კიდევ თავს შევიკავებ ამ საკითხზე დამატებითი კომენტარის გაკეთებისგან, – განუცხადა ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებით, ნაჩქარევი იყო მის მიერ დაახლოებით ორი თვის წინ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ რაფალიანცის გარდაცვალების საქმესთან მიმართებაში წინასწარი სურათი დაახლოებით სამ კვირაში ექნებოდა.

– მე ვთქვი, რომ 3 კვირაში მექნებოდა რეალური სურათი. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ალბათ ნაჩქარევი იყო ეს განცხადება, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

10 თვის ბარბარე რაფალიანცი ქვევრში გარდაცვლილი იპოვეს. შემთხვევა გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში 2012 წლის სექტემბერში მოხდა.

გუშინ სატუმრი „რედისონში“ შინაგან საქმეთა მინისტრმა პოლიციეს ახალი ეთიკის კოდექსის პრეზენტაცია გამართა.

– ჩვენი გუნდის სურვილია, პოლიციელი გახდეს სამაგალითო მოქალაქე, – განაცხადა ღარიბაშვილმა პოლიციელთა ეთიკის კოდექსის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ განუცხადა.

მისივე განმარტებით, ამ კოდექსში შესული ნორმების ერთობლიობა ქმნის შესაძლებლობას, რომ „მივიღოთ გაჯანსაღებული სისტემა და ახალი პოლიცია“.

– სამწუხაროდ, რეფორმა რომელიც წინა ხელისუფლებამ 2004 წელს დაიწყო, არ იყო ბოლომდე მიყვანილი და დასრულებული. ჩემი დავალებით, რეფორმებისა და განვითარების ახლად შექმნილმა სააგენტომ შეიმუშავა 2013 წლის განვითარების სტრატეგია, რომელიც მოიცავს მთელ რიგ რეფორმებს სამინისტროსთვის. ეთიკის კოდექსის შემუშავება და პრეზენტაციაც იმის დადასტურებაა, რომ ჩვენ არ ვჩერდებით, ესაა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი. ჩვენი გუნდის სურვილია, პოლიციელი გახდეს სამაგალითო მოქალაქე, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე განმარტებით, კოდექსში მთავარი აქცენტი ქართველი საზოგადოებისთვის ამ დრომდე ყველაზე სენსიტიურ თემაზე – ადამიანის უფლებებზეა გაკეთებული.

– იმას, თუ რამდენად დაიცავენ პოლიციელები ადამიანის უფლებებს, გააკონტროლებს ჩვენი შიდა მონიტორინგის სამსახური, რომელიც ჩემი ბრძანებით გაძლიერდა და დაახლოებით 50 კაცითაა წარმოდგენილი. თუ ექნება ადგილი ამა თუ იმ მოქალაქის მიმართ უფლებების დარღვევას, ჩვენ გვექნება მყისიერი რეაგირება, დაწყებული დისციპლინური სასჯელიდან, დამთავრებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობით, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ნუგზარ წიკლაური: „სომხეთი საქართველოს მაგალითად არ გამოადგება“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური ევროსაბჭოში მიხეილ სააკაშვილის განცხადებით აღფრთოვანებულია. აღფრთოვანებულ წიკლაურს მომძე სომხეთი შემოეკრიტიკა. რის გამოც მას შესაძლოა საქართველოში მოქმედმა სომხურმა ორგანიზაციებმა ქოქოლა დააყაროონ. სხვა პოლიტიკოსებს ამაზე მსუბუქი განცხადებების გამო სდებენ შარს.

სომხეთის მიმართ წიკლაური ყოველთვის დიდ სიმპათიებს ამჟღავნებდა. ყოველ შემთხვევაში, აქამდე არასდროს შემოჰკრიტიკებია მოძმე სომხეთI. ახლა კი წიკლაურს სომხების პოზიცია აღარ მოსწონს. ეს ყველაფერი კი ჩვენი ოცნების, ნატოს ბრალია. რაკიღა სომხეთს ნატო იგივე ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი არ მოსწონს, ეს ქვეყანა ჩვენთვის მაგალითი ვერ იქნება.

სომხეთზე გული ნაციონალებმა მას შემდეგ აიცრუეს, რაც ბიძინა ივანიშვილი ჩავიდა იქ. ერევანში მყოფმა ივანიშვილმა განაცხადა, რომ სომხეთი საქართველოსთვის მაგალითი უნდა იყოსო. ეს განცხადება წიკლაურს საეჭვოდ და შემაშფოთებლად მიაჩნია. ამასთან დეპუტატს შორს მიმავალი დასკვნებიც გამოაქვს.

– საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება – სომხეთი საქართველოსთვის იდეალური მაგალითი უნდა იყოს, საქართველოს მიერ პოლიტიკური კურსის ცვლილებაზე მეტყველებს. მიუხედავად სომხეთისადმი ჩემი ღრმა პატივისცემისა, ჩვენთვის მისი მაგალითი, საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ვერ გამოდგება, რადგან სომხეთს ნატო-ში გაწევრიანების სურვილი არასოდეს გამოუთქვამს და ის დსთ-ის წევრია, რაც სრულიად არ მოიაზრება ნატო-ს პარტნიორად. მეზობელ სახელმწიფოს პატივს ვცემ, მაგრამ მისი გზა ჩვენთვის მიუღებელია, – განაცხადა წიკლაურმა.

საინტერესოა, რას იტყოდა წიკლაური, სომხეთი საქართველოსთვის იდეალურ მისაბაძ ქვეყნად სააკაშვილს რომ დაესახელებინა?

„ბრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე წიკლაურმა ევროსაბჭოს სესიასა და რუსეთის ავ ზრახვებზეც ისაუბრა. დღეისთვის დაგეგმილ სხდომაზე რუსები სერიოზული სკანდალის აწევას აპირებენ.

ნუგზარ წიკლაური გვამშვიდებს, რომ რუსეთის დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დღევანდელ სხდომაზე საქართველოს ეროვნული ინტერესების დაზიანებას ვერ მოახერხებს.

რუსეთის დელეგაციის წევრებმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას მოუწოდეს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოში ადამიანების უფლებების კუთხით ჩადენილი „დანაშაულებრივი ქმედებების“ ამსახველი რეზოლუცია მომზადდეს, რომლის ერთ-ერთი მთავარი თემა ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ბუნდოვანი საქმე იქნება.

– რუსეთის ფედერაცია საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებას ყოველთვის ცდილობს, თუმცა ამას ევროსაბჭოში ვერასდროს ახერხებს, – დაგვამშვიდა წიკლაურმა.

რუსები ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებითაც აპირებენ კითხვების დასმას. წიკლაურს არც ამის ეშინია. მას გულში იმედი ირაკლი ოქრუაშვილის ბოლო განცხადებამ ჩაუსახა.

– რაც შეეხება ჟვანიას თემას, შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთი პირველი ამ საკითხზე ირაკლი ოქრუაშვილი საუბრობდა, თუმცა მან ცოტა ხნის წინ გადათქვა და განაცხადა, რომ ჟვანია არ მოუკლავთ, – ბრძანა წიკლაურმა.

მეცხრე არხის ეთერში თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა განაცხადა, რომ ჟვანიას გარდაცვალება არ იყო მკვლელობა და ეს იყო რაღაც სხვა. ამასთან ოქრუაშვილს არ უთქვამს, რომ ჟვანია გაზით გაიგუდა. ამ ბურუსით მოცულ სიკვდილთან დაკავშირებით უამრავი ვერსია არსებობს. ქვეყნის მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი გვპირდება, რომ ამ საქმეს მალე მოეფინება ნათელი.

ნუგზარ წიკლაურმა პოლიციაზეც ისაუბრა. მისთვის გაუგებარია, რატომ დადგა დღეს პოლიციის კოდექსის შეცვლის აუცილებლობა.

– პოლიცია იყო ინსტიტუტი, რომელიც წლების განმავლობაში საზოგადოების ძალიან მაღალი ნდობით სარგებლობდა. გაუგებარია, რას შეიძლება ემსახურებოდეს ეს გადაწყვეტილება, როცა ასეთი დიდი მხარდაჭერა აქვს ინსტიტუტს და მათ ცვლი. არ არსებობს ინსტიტუტი, რომლის კიდევ უფრო გაუმჯობესება არ შეიძლება, თუმცა დღეს ამ კოდექსში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა არ იდგა, – განაცხადა წიკლაურმა.

რატომ შეაქვთ ეს ცვლილება, ძნელი ასახსნელია. თუმცა ამაზე ნაცმოძი და წიკლაური არ უნდა საუბრობდნენ. სხვა თუ არაფერი, იმდენჯერ აქვთ კონსტიტუცია შეცვლილი, კაცი ვერ დაითვლის.

წიკლაური რისი წიკლაური იქნებოდა, „ქართული ოცნების“ ქმედება რომ არ დაეგმო.

– არჩევნების შემდეგ 100 დღე გავიდა და უკვე შეიძლება იმის კონსტანტირება, რომ საქართველომ უკან გადადგა ნაბიჯი. ამის თქმის საფუძველს რამდენიმე გარემოება მაძლევს. მათ შორის ის, რომ საქართველოს მიერ მკაფიოდ დეკლარირებული ევროპული მისწრაფებები ახალი ხელისუფლების პირობებში უარყოფილია. სწორედ ამას მოწმობს დაშინებისა და ტერორის ის ფაქტები, რომლებიც სასამართლო სისტემის, თვითმმართველობების და ოპოზიციური ძალის წარმომადგენლების მიმართ ხორციელდება. ახალი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ღიად ამბობენ, რომ დევნა გაგრძელდება მანამ, სანამ ოპოზიციის მხრიდან არ შეწყდება პოლიტიკური წინააღმდეგობა. რამდენიმე რაიონში ადგილობრივი მაღალი თანამდებობის პირები ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა იძულებით გაათავისუფლეს, ახლა კი იქ თანამდებობებს „ქართული ოცნების“ წევრები ვერ იყოფენ და მათ შორის მიმდინარეობს დაპირისპირება. ისეთი ჯინი იქნა გამოშვებული ბოთლიდან, რომლის უკან შებრუნებაც ამ ხელისუფლებასაც გაუჭირდება და მომავალ ხელისუფლებებსაც, – განაცხადა წიკლაურმა.

წიკლაურმა კიდევ ერთხელ შეაფასა ამნისტიის კანონი. მან პოლიტპატიმრების გათავისუფლება დაგმო.

მანვე უპასუხისმგებლო უწოდა ხელისუფლების მიერ პოლიტპატიმრების სტატუსით ციხეებიდან რუსეთის ჯაშუშობის ბრალდებით ბრალდებულ პირთა გათავისუფლების ფაქტს.

– ვინმემ იცის, საერთოდ რა პოლიტიკური შეხედულებების ადამიანები იყვნენ რუსეთის ჯაშუშები შკრილნიკოვი და გევორქიანი?! იგივე სახალიანი, რომელიც ახალციხეში ქართულ უნივერსიტეტსა და ქართულ ტაძრებს ესხმოდა თავს?! ჯაშუშების გათავისუფლებით ახალმა ხელისუფლებამ რუსეთის სურვილი შეასრულა და ეს იყო კაპიტულაცია რუსეთის უკანონო ინტერესების წინაშე, – განაცხადა დეპუტატმა.

ქართულ ტაძრებზე თავდასხმა არც ნაციონალებს აკლდათ. გლდანის ეკლესიის დარბევა და ფერიის მთაზე ეკლესიის დანგრევა ყველას კარგად გვახსოვს. აღარაფერს ვამბობთ მამათა მონასტრებში შევარდნებსა და სპეცოპერაციების ჩატარებაზე, ვითომ დამნაშავეები რომ აფარებდნენ მონასტრებს თავს.

სხვათა შორის, ყუმურდო-ახალქალაქის ეპარქიაში შეჭრა იმ პერიოდში ნაციონალებს არ დაუგმიათ. ახლა ვითომ რატომ მოეძალათ პატრიოტული გრძნობები? და რაკი ქართული ტაძრის დარბევაზე ვსაუბრობთ, წიკლაურს ერთ ისტორიას გავახსენებთ. აბა, კარგად გაიკითხოს, ვინ შეანგრია სომხეთის პრემიერთან ერთად 2008 წლის დეკემბერში ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ქართული ეკლესიის კარი. ამ ეკლესიას, სხვათა შორის, სომხები იჩემებენ.

ილია II: „აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება კავკასიაში არსებული პრობლემების მოგვარების საფუძველი იქნება“

დღეს საქართველოს პატრიარქი რუსეთის პრეზიდენტს შეხვდება

შორენა მარსაგიშვილი

ჩვენი საზოგადოება დღევანდელ დღეს დიდი მოლოდინით უყურებს. დღეს საქართველოს პატრიარქი რუსეთის პრეზიდენტს ხვდება. საქართველოდან გამგზავრების წინ, პატრიარქმა მრევლს ლოცვის გაძლიერებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, ის რუსეთში მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად მიდის.

ილია II მოსკოვში დაჯილდოების ცერემონიალზე დასასწრებად მიიწვიეს. ჩვენი პატრიარქი მაცხოვრის ტაძარში მართლმადიდებელი ქრისტიანების ერთობის საერთაშორისო ფონდის მეცამეტე ცერემონიაზე მართლმადიდებელი ხალხების ერთობის განმტკიცებისათვის დაჯილდოვეს.

მოსკოვში ვიზიტით მყოფი ილია II-ის პატივსაცემად სპეციალურად მისთვის დაწერილი ჰიმნიც იმღერეს. კონცერტის დაწყებამდე კი უწმინდესს სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქმა კირილმა უმასპინძლა.

რუსეთში საშობაო ფესტივალზე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მთავარეპისკოპოსის მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტის ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა, ილია მეორეს „ავე მარია“ შესრულდა.

დაჯილდოვებულმა პატრიარქმა მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. მან საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებზე ისაუბრა.

– დღეს, როდესაც მე ამ პრემიას ვიღებ, ვთვლი, რომ ეს არის არა ჩემი, არამედ ქართველი ერის დამსახურება, რომელმაც, მიუხედავად დიდი სირთულეებისა, გამოავლინა უფლისადმი დიდი სიყვარული, აღადგინა და ააშენა ათასამდე ტაძარი და მონასტერი. ამასთან, აღდგა ერის სულიერება. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს ჯილდო გადმომეცემა იმ პერიოდში, როდესაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობა არ არის სტაბილური და მხოლოდ ჩვენი ეკლესიების მეშვეობით ხდება ჩვენი სულიერი ურთიერთობების შენარჩუნება. ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა შეიძლება იყოს ძმური და მეგობრული იმ შემთხვევაშიც კი, თუ იზეიმებს სამართლიანობა და საქართველოს დაუბრუნდება დაკარგული ტერიტორიები – აფხაზეთი და სამაჩაბლო, რაც იქნება კავკასიაში არსებული პრობლემების მოგვარების საფუძველიც. მე დარწმუნებული ვარ, რომ ღვთის რწმენითა და მამაცი ადამიანების მეშვეობით, ადრე თუ გვიან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება და ეს რაც უფრო მალე მოხდება, მით უკეთესი იქნება, – ბრძანა უწმინდესმა.

საკმაოდ საინტერესო განცხადებები გააკეთა ილია II-მ რუსეთის პატრიარქთან შეხვედრისას.

– რუსეთს სჭირდება ერთიანი საქართველო, საქართველოს კი – ერთიანი ძლიერი რუსეთი, – განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა.

საქართველოსა და რუსეთის პატრიარქების შეხვედრა ძირითადად ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობებს შეეხო.

ილია II-ის განცხადებით, საქართველომ და რუსეთმა უნდა მიაღწიონ ურთიერთგაგებას ყველა საკითხზე, მათ შორის, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით:

– ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით, ამიტომ, ეს საკითხი ადრე თუ გვიან უნდა გადაწყდეს. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესია არა მხოლოდ რუსეთისა და საქართველოსთვის, არამედ აფხაზეთისა და ოსეთისთვის, – განაცხადა ილია II. მან პატრიარქ კირილს მადლობა გადაუხადა, რომ მოსკოვის საპატრიარქო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთობას აფხაზეთსა და ცხინვალში.

– ჩვენს ეკლესიებს შორის ძმური ურთიერთობა ერთადერთი გზა იყო, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებსა და ერებს აკავშირებდა. ღვთის მადლით, დრო იცვლება და ჩვენც მასთან ერთად ვიცვლებით, – აღნიშნა ილია II.

საქართველოში მიმდინარე ცვლილებებზე რუსეთის პატრიარქმა დიდი ყურადღება გაამახვილა. მან ცვლილებების პროცესი დადებითად შეაფასა:

– მშვიდობიანად და ხალხის თავისუფალი არჩევანის გზით საქართველოში ხდება ცვლილებები, რომელზეც ბევრი იმედებს ამყარებს. დაე, ამ ვიზიტმა თავისი მაცოცხლებელი წვლილი შეიტანოს ჩვენს ქვეყნებსა და ერებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში, – განაცხადა პატრიარქმა კირილმა.

რუსეთისა და საქართველოს პატრიარქებმა შეხვედრაზე ქართველი მეფეების, ვახტანგ VI-სა და თეიმურაზ II-ის ნეშტების საქართველოში გადასვენების საკითხზეც ისაუბრეს. რუსეთის პატრიარქის განცხადებით, რუსეთის ეკლესია გაგებით ეკიდება ქართული მხარის სურვილს ნეშტების თბილისში გადასვენების შესახებ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, ეს თემა საჯარო განხილვის საგანი უნდა გახდეს და ამ საკითხზე სპეციალური კომისია იმუშავებს:

– მიმაჩნია, რომ ამგვარმა ქმედებამ საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე, შესაძლოა, ჩვენი ორმხრივი ურთიერთობაც დააზარალოს. დარწმუნებული ვართ, კომისია მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად გაართმევს. სამუშაოს ეფექტურობის ზრდის მიზნით, მზად ვართ, მასთან თანამშრომლობისთვის და ვილოცებთ, რომ მათ მუშაობა სწრაფად დაასრულონ, – აღნიშნა პატრიარქმა კირილმა.

ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა ჩვენს პატრიარქს დღეს ექნება. ის რუსეთის პრეზიდენტს ხვდება. საქართველოში ამ შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებენ.

შსს-მ მოხუცი ცოლ-ქმრის დაყაჩაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

ბათუმის პოლიციის საქალაქო სამმართველოს მე-3 განყოფილებისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ყაჩაღობის ფაქტზე ორი პიროვნება დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2013 წლის 18 იანვარს, გოჩა ჯ-მ და მისმა თანამზრახველმა, რომლის ადგილსამყოფელი ჯერჯერობით დაუდგენელია, ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, 1927 წელს დაბადებული ლიანა ინაიშვილსა და მისი მეუღლის, 1928 წელს დაბადებულ თეიმურაზ ნაკაშიძის საცხოვრებელ სახლში, მოტყუებით შეაღწიეს. მათ ბინის ქირაობა მოიმიზეზეს და მოხუც ცოლ-ქმარს კარის გაღება სთხოვეს. სახლში შესვლის შემდეგ, მუქარისა და ძალის გამოყენებით, ბინის მეპატრონეებს ხელ-ფეხი შეუკრეს და ლიანა ინაიშვილს ოქროს საყურეები მოხსნეს. დამნაშავეებმა, გაიტაცეს ასევე მობილური ტელეფონიც.

გამოძიებისას ასევე დადგინდა, რომ ცოლ-ქმრის დაყაჩაღებაში მათ მიერ დროებით დაქირავებული ხელოსანი, 1986 წელს დაბადებული ბაჩანა ჯ. მონაწილეობდა.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მომხდარიდან მეორე დღესვე, სამართალდამცველებმა ბაჩანა ჯ. და გოჩა ჯ. დააკავეს, ხოლო მესამე დამნაშავის ადგილსამყოფელის დასადგენად და დასაკავებლად, მიმდინარეობს საგამოძიებო ღონისძიებები.

დაკავებულები დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება სსკ-ს 179-ე (ყაჩაღობა) მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაიწყო.

ნიუსპრესი

ნანა დევდარიანი: „სააკაშვილი არის ტიპური მაბეზღარა“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ნანა დევდარიანთან

– ქალბატონო ნანა, დღის მთავარი პოლიტიკური თემა მიხეილ სააკაშვილის გამოსვლაა ევროსაბჭოში, მართალია, როგორც ჩვენი ქვეყნის მტრის, ასეთი იყო მისი გამოსვლა, მაგრამ მოდით მაინც შევაფასოთ მისი ტყუილ-მართალი...

– ეს არის ტიპური დამბეზღებლის მოქმედება. წავიდა და დიდ ბიძიებთან ევროპაში დააბეზღა ახალი მთავრობა. მეტი ამას არაფერი არ ჰქვია. პატარა ბიჭიც არ იკადრებს ამას. ეს ყოვლად მიუღებელი საქციელია და სწორედ ეს გააკეთა. დადის ახლა და ყვირის, რომ მისი აშენებული სხვას დარჩა. საერთოდ, არჩევნებს თუ აქვს აზრი, ამ კაცმა იცის? თუ დაავიწყდა ამ 9-წლიანი მეფობის პერიოდში? ეს არის წარმოუდგენელი. ჯერ ერთი, ტყუილები ილაპარაკა. ჩვენ კი ვიცოდით და აგერ ჟურნალისტები და ექსპერტები პინოქიოს ეძახიან, მაგრამ საერთაშორისო არენაზე ყველამ ხომ არ იცის. ეს ხომ ქვეყნის სირცხვილია, თვითონ მას არ რცხვენია და ქვეყნის სირცხვილია, როდესაც ასე ცრუპენტელობს მისი პრეზიდენტი.

– უმრავლესობას სხვა გზა აღარ დაუტოვა და გამოდის, რომ თავის მართლების პოზიცია უნდა დაიკავოს?

– როდესაც იცოდნენ, რომ სააკაშვილი იქ ჩადიოდა, საკმარისად კარგად ვიცნობთ ჩვენ მას, რომ ვიყოთ ამისთვის მომზადებული. ამას სჭირდებოდა ელემენტარული რამ, დოკუმენტები, ფაქტები, ეს ყველაფერი უნდა გამრავლებულიყო და დარიგებოდათ იქ დამსწრე საზოგადოებას. უნდა წასულიყვნენ სერიოზულად მომზადებულები, კარგს რომ არაფერს არ უნდა ელოდე მისგან, ამაში რამე ახალია?!

– მე თუ აღარ ვიქნები, ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო?

– არა, ეგ არსად წასვლას რომ არ აპირებს, ხომ ეტყობა. პოლიტიკიდან არ აპირებს წასვლას. მისი ოცნებაა, საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ, რომელიც უკვე ამოეწურა, მაგრამ ოქტომბრამდე ხომ მაინც რჩება, მერე ალბათ იქნება ნაციონალური მოძრაობის ლიდერი და იმედი აქვს, რომ გაიმარჯვებს არჩევნებში და უმრავლესობით მოვა. მას არ ესმის, რომ ქართველი ხალხი მაგის მეორედ მობრუნებას არ დაუშვებს.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად დამაჯერებელი იყო ევროსაბჭოსთვის მისი გამოსვლა?

– ევროსაბჭო არ არის ერთგვაროვანი და მის საპარლამენტო ასამბლეაში წარმოდგენილნი არიან სხვადასხვა მიმართულების პარტიები და ფრაქციები. მათ შორის არიან მისი მეგობრები. მაგალითად, ევროპის სახალხო პარტია მისი უფასო ადვოკატია. სწორედ ასეთი მეგობრების მიწვევით იყო იქ ჩასული. ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ევროსაბჭო და მთელი ასამბლეა მის ჭკუაზეა და ყველაფერს ამას დაიჯერებს. ეს მას უნდოდა საჩვენებლად, აი, ჩვენ რომ ვილაპარაკოთ ამაზე, ტალღაზე უნდა იყოს. შიდა მოხმარებისთვის იყო ეს ყველაფერი განკუთვნილი და მისი მომხრეებისთვის, რათა დაანახოს, რომ ჯერ კიდევ ის არის ლიდერი, რაღაცების ინიციატორი და პროცესებს ის მართავს.

– თქვენი აზრით, რამდენად შეძლებს უმრავლესობა, გადაფაროს ის, რაც გუშინ სააკაშვილმა ევროსაბჭოში გამოსვლისას გააკეთა?

– რა გითხრათ, არასოდეს არ უნდა ჩაიყენო თავი თავისმართლების პოზიციაში. ანუ რეაქტიული კი არ უნდა იყო, აქტიური უნდა იყო. ამას დიდი განჭვრეტა არ სჭირდებოდა, რომ ის ასე ეცდებოდა, რომ სათავისოდ წარემართა მოვლენები და ამისთვის მომზადებულები უნდა ყოფილიყვნენ. ახლა უკვე პოსტ ფაქტუმ ყველაფერი, რასაც იტყვიან, იქნება თავის მართლების მსგავსი.

– ახალ ხელისუფლებას სააკაშვილი უგებს საგარეო პოლიტიკაში?

– ყოველ შემთხვევაში, მე წაგებათაც არ შევაფასებ ამას, მაგრამ პოლიტიკაში ასეთ შეცდომებს აქვს ერთი თვისება -დაგროვების თვისება, ეს გროვდება და მერე ერთიანობაში იჩენს ხოლმე თავს. ამიტომ ამას უნდა ძალიან ძლიერი ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებაზე იმუშავებს. ამას მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტრო ვერ დაარეგულირებს. ამას სჭირდება პარლამენტის დონეზე ძალიან ძლიერი ჯგუფი, რომელიც ოპონირებას გაუწევს ყოველგვარ ასეთ ტყუილს. როცა შენს მხარეზეა სიმართლე, როგორ უნდა მისცე ვიღაცას საშუალება, რომ თავისი ტყუილი აზეიმოს.

– ქალბატონო ნანა, ევროსაბჭოში ვიზიტამდე ვნახეთ, რომ ის ახალი ინიციატივებით გამოვიდა. მოითხოვა ეკონომიკურ დანაშაულებებზე ამნისტია, პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების განსაჯაროება დაგმო და განაცხადა, კანონით უნდა დაისაჯოსო. მთელი 9 წელი რატომ არ გახსენებია ეს ყველაფერი?

– დაუკვირდით, რა ხდება, 9 წლის მანძილზე ყველას უსმენდნენ, აყურადებდნენ, იწერდნენ, თვითონ ერეოდნენ ყველა მოქალაქის პირად ცხოვრებაში. მათ შორის ელექტრონულ ფოსტებსა და აბსოლუტურად ყველაფერში. ზოგს პირდაპირ უსმენდნენ 24 საათიან რეჟიმში და ამ ყველაფერს იყენებდნენ. იმიტომ გაივსო ციხეები პატიმრებით, იყენებდნენ ადამიანების წინააღმდეგ და ახლა ეს ადამიანი გამოდის ასე ურცხვად და აცხადებს, რომ მოსპეთ და გაანადგურეთ ეს ჩანაწერებიო. ე.ი. მე რაც ვაკეთე, იმის კვალი მოსპეთო. სხვათა შორის, იურისტების ენაზე ამას ჰქვია სამხილების განადგურება. რასაც ეგ მოითხოვს, ეს არის სამხილების და კონკრეტული ნივთმტკიცებების განადგურება, რომელიც კანონით დასჯადი მოქმედებაა. ეს ერთი და მეორეც, როდესაც ამდენი ბიზნესები მიითვისეს და გადაიფორმეს, ახლა უნდა გამოცხადდეს ამნისტია? იმ ადამიანებმა რა ქნან, ვისაც წაართვეს ეს ბიზნესები და დილის 4 საათზე ერთსა და იმავე ნოტარიუსთან ნებაყოფლობით რომ გადააფორმებინეს საკუთარ თავზე? ამათ ამნისტია და იმათ არაფერი, ხომ?!

– საკუთარ თავზე მორგებული ინიციატივა იყო.

– მთელი ცხოვრება ეგრე არ არის, დღეს ხომ არ დაუწყია, მთელი ცხოვრება ასე იქცევა. იცით რა, რაღაცა ლაითი პასუხები ამაზე არ გამოდის, ამას უნდა მეტი მიზანმიმართული მოქმედება იმისთვის, რომ ყოველი მისი ასეთი ტყუილი გამოაშკარავდეს. ამ ხალხს არ რცხვენია. ჩვენ ყველანი ამ ყველაფერს ვუდგებით, როგორც ნორმალური ადამიანები და ვვარაუდობთ, რომ აი, ეს რომ გამოაშკარავდება, ამათ შერცხვებათ. ამათ კი სირცხვილი არა აქვთ. მათი სირცხვილის იმედად ყოფნა არ შეიძლება, შენ უნდა იმოქმედო კანონის ფარგლებში, თორემ მაგათ არ შერცხვებათ არასოდეს. ამას რომ აკეთებდნენ, მაშინ არ რცხვენოდათ და ახლა იმის შერცხვებათ, რომ ეს შენ გაიგე? ეს არის უტიფარი ხალხი და ამ უტიფარ ხალხს უნდა ადეკვატური პასუხი ყველაფერზე, მათ შორის, პირდაპირ სამართლის ენაზეც. თუ ვიღაც არ გაძლევს ამის საშუალებას, უნდა გამოხვიდე და საჯაროდ თქვა ეს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ის მდგომარეობა, როცა საქართველოს ხელისუფლება, ქვეყნის გარედან რას ეუბნებიან, იმას უსმენს და ხალხს არა.

– 20 იანვრიდან ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ოფიციალურად ვადაგასულია, მისი გადადგომის მოთხოვნით

გაგრძელება მე-6 გვერდზე

სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრების სატელეფონო მომსახურებას მაგთიკომი განახორციელებს

როგორც კომპანია მაგთიკომში აცხადებენ, მთავარია ტენდერი გამოცხადდეს და მათ აქვთ ყველა პირობა და საჭირო რესურსი, რომ მომსახურება უმაღლესი — მაგთისეული ხარისხით განახორციელონ.

საქართველოს კანონის მიხედვით 2013 წლის 1 იანვრიდან ფიჭური მომსახურება სახელმწიფო შესყიდვების საგანი გახდა. შესაბამისად 2012 წლის დეკემბერში ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერი გამოცხადდა.

წარმატებისთვის „მაგთიკომი“ და „ჯეოსელი“ მეტოქეობდნენ. გამარჯვებულ კომპანიას უნდა დაეკმაყოფილებია სატენდერო მოთხოვნები და შეეთავაზებია საუკეთესო ფასი. ტენდერში მონაწილეობის პირობებს შორის ძირითადი გაახლდათ დაფარვის არეალი – მოთხოვნა იყო, რომ საქართველოს დასახლებული ტერიტორიის 98 %-ზე მეტი ყოფილიყო მოცული; ამ ჯგუფის წევრებისთვის აბონენტთა მომსახურების ცენტრთან დაკავშირების პრიორიტეტი; მაღალსიჩქარიანი უსადენო ინტერნეტ-მომსახურება; ბლექბერი სერვისი და კავშირის მაღალი ხარისხი. გამარჯვებულად გამოცხადდებოდა ის კომპანია, რომელიც ყველა ამ პირობას დააკმაყოფილებდა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად საუკეთესო, ყველაზე დაბალ ფასს შესთავაზებდა მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

დათო მარღანია, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორი: „აქამდე ფიჭური სატელეფონო მომსახურება სატენდერო შესყიდვის საგანი არ გახლდათ, რაც განპირობებული იყო პორტირების ფუნქციის არქონის გამო. საქმე იმაშია, რომ გამარჯვებულის ყოველწლიური ცვლილების შემთხვევაში სამთავრობო აპარატის თანამშრომლებს მუდმივად შეეცვლებოდათ ტელეფონის ნომრები. ეს კი ბევრ უხერხულობას შექმნიდა, ამიტომ თითოეული სტრუქტურა თავად ირჩევდა პარტნიორს. სწორედ პორტირების ამოქმედებამ მოგვცა შესაძლებლობა ჩაგვეტარებინა კონსოლიდირებული ტენდერი.“

მაგთიკომი ტენდერში გამარჯვებას სპეციალური პრეს-კონფერენციით გამოეხმაურა. სამთავრობო სტრუქტურების (მათდამი დაქვემდებარებული სამსახურების ჩათვლით) თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრების სახით მაგთიკომს დაახლოებით 150 ათასი აბონენტი დაემატება.

ირაკლი ლობჟანიძე, „მაგთიკომის“ მარკეტინგის დირექტორი: ჩვენი შეკრების მიზეზი „მაგთიკომის“ კიდევ ერთი წარმატებაა. კერძოდ, 2012 წლის მიწურულს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ფიჭურ სატელეფონო მომსახურებაზე 2013 წლის კონსოლიდირებული ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში „მაგთიკომმაც“ მიიღო მონაწილეობა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, გამარჯვებასაც მიაღწია. ტენდერის შესყიდვის მიზანი სამთავრობო სტრუქტურებისთვის ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების შესყიდვა გახლდათ, ხოლო შემსყიდველია ერთიან ელექტრონულ სისტემაში სახელმწიფო ორგანოს ფორმით დარეგისტრირებული ორგანიზაცია, სამინისტრო თუ მათ სტრუქტურაში შემავალი ყველა უწყება.

„მაგთიკომმა“ დააკმაყოფილა ტენდერის ყველა მოთხოვნა. მოგეხსენებათ, „მაგთიკომის“ დაფარვის არეალი ვრცელდება საქართველოს დასახლებული ტერიტორიის 98 პროცენტზე მეტ ტერიტორიაზე, გარდა იმ ტერიტორიებისა, რომლებზეც ოკუპაციის შესახებ კანონის შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებადაა აღიარებული.

ჩვენი 3,5 თაობის ქსელში მონაცემთა გადაცემის მაქსიმალური სიჩქარე წარმოადგენს 21 მეგაბიტამდე წამში, ხოლო ქსელში საშუალო სიჩქარე 3 მეგაბიტს აღემატება, რაც ამ სერვისის მიმართ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. დაბალმა ფასმა, მაღალმა ხარისხმა, დაფარვის ფართო არეალმა, მოთხოვნილი სერვისების სრულად უზრუნველყოფამ და ტენდერის სამართლიანი პირობებით ჩატარებამ „მაგთიკომის“ გამარჯვება უზრუნველყო.

ელექტრონული ვაჭრობის დროს „მაგთიკომის“ მიერ შეთავაზებული დაბალი ფასი არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ „მაგთიკომის“ მომსახურების ხარისხს რაიმე დააკლდება. ჩვენ რა თქმა უნდა, შევინარჩუნებთ მომსახურების უმაღლეს, ხარისხს – „მაგთიკომი“ მომხმარებელს ტრადიციულად მაგთისეულ საუკეთესო მომსახურებას შესთავაზებს.

აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებისადმი დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამსახურს შეუძლია ამ ჯგუფში გაწევრიანება, რისთვისაც საკმარისია მიმართონ სატენდერო კომისიას და შემდეგ ეს ორგანიზაციებიც ისარგებლებენ ანალოგიური შეღავათებით. აგრეთვე, შეღავათებით სარგებლობა შეეძლება სახელმწიფო მოხელეების ოჯახის წევრებსაც.

მინდა აღვნიშნო, რომ ეს გახლდათ მობილურ კავშირზე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების პირველი პრეცედენტი და აღნიშნული ტენდერი საშუალებას აძლევს სახელმწიფო სტრუქტურებში შემავალ ყველა თანამშრომელს ერთმანეთში უფასოდ ისაუბრონ. ამ ჯგუფის ფარგლებს გარეთ ტარიფები არის მინიმალური, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სახელმწიფოს დანახარჯებს მობილურ კავშირგაბმულობაზე. ასევე შემცირდება, ამ ადამიანების ოჯახის წევრთა ხარჯებიც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ სამართლიანი ტენდერის პირობებში „მაგთიკომმა“ დაამტკიცა, რომ მინიმალური ფასებისა და საუკეთესო ხარისხის მიწოდებაში საუკეთესოა.

ნიკოლოზ დავითაშვილი, „მაგთიკომის“ კორპორაციული რეალიზაციისა და მომხმარებელთა მომსახურების განყოფილების უფროსი:

– რამდენიმე წელიწადია, ძირითადად, კომპანიებთან პირდაპირ ხდებოდა ხელშეკრულების გაფორმება. მაგალითად, არც ერთ ძალოვან სტრუქტურას უკვე რამდენიმე წელია, ტენდერი აღარ გამოუცხადებია. ახლა კი მართლაც მნიშვნელოვან პრეცედენტთან გვაქვს საქმე და „მაგთიკომმა“ კი თავისი მაღალი ხარისხის, საუკეთესო მომსახურებისა და დაბალი ფასების დემონსტრირება სრულყოფილად შეძლო. რა თქმა უნდა, ამით აბონენტების რაოდენობაც იზრდება საორიენტაციოდ 150 ათასით, რაც თავისთავად ბაზარზე სიტუაციას შეცვლის და „მაგთიკომის“ პოზიციებს უფრო მეტად გაამყარებს. სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ ადამიანებს, ანუ ჩვენს მომავალ აბონენტებს, თუ სურვილი ექნებათ, შეუძლიათ არსებული ნომერი შეინარჩუნონ „მაგთიზე“ პორტირების გზით ან ახალი ნომერი აიღონ. “

დასასრულს უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოსა და „მაგთიკომს“ შორის თანამშრომლობა ადრეც იყო. თუმცა ძირითადად მაგთიკომს იმ პროექტების განხორციელებას ანდობდნენ, რომელთა შესასრულებლადაც სხვა ალტერნატივა არ არსებობდა. რაც, ფაქტია, თვალნათლივ მიუთითებს მაგთიკომის დიდ შესაძლებლობებსა და პირველობაზე. სწორედ მაგთიკომის დამსახურებითაა, რომ არსებობს საერთო სახელმწიფო ელექტრონული ქსელი ( ) და ასევე მაგთის დამსახურებით შეიქმნა ერთიანი ქსელი საქართველოს ყველა საჯარო სკოლისთვის. 2011 წელს აღნიშნული ქსელის საშუალებით საქართველოში ჩატარდა პირველი ელექტრონული საატესტატო გამოცდები, რაც არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით პირველად მოხდა ?? საქართველომ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა განათლების სფეროს განვითარებისა და მის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების საქმეში.

ფრაზა:

ირაკლი ლობჟანიძე: დაბალმა ფასმა, მაღალმა ხარისხმა, დაფარვის უდიდესმა არეალმა, მოთხოვნილი სერვისების სრულად უზრუნველყოფამ და ტენდერის სამართლიანი პირობებით ჩატარებამ „მაგთიკომის“ გამარჯვება უზრუნველყო.

„გიორგი ბარათელის საქმე ხელახლა უნდა გამოიძიონ“

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი გიორგი თევზაძე გუჩამ შარაძის მკვლელობაში ბრალდებული გიორგი ბარათელის საქმის ობიექტის გამოძიებას ითხოვს.

გიორგი თევზაძის განცხადებით, ბარათელს საკნის ინციდენტი მოუწყვეს იმისთვის, რომ ბრალი დამძიმებოდა. ამით მასზე მოახდინეს კიდევ უფრო მეტი ზეწოლა. უნდათ ხელი შეუშალონ ბარათელის მიერ სიმართლის აღიარებას.

გიორგი თევზაძე პროკურატურისაგან გიორგი ბარათელის საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს.

უფლებადამცველმა შს სამინისტროსაც მიმართა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს უფლება დართონ შს სამინისტროს და სხვა სამართალდამცავ უწყებებში განხორციელდეს არასამთავრობოების მონიტორინგი, რათა თავიდან ავიცილოთ ის ზეწოლები, რომელსაც ადგილი აქვს ამა თუ იმ მოქალაქეების მიმართ დაკითხვების დროს.

– ეს იქნება გარკვეული ტესტი სამართალდამცავი სტრუქტურების დემოკრატიულობისა და სამართლიანობის განსაზღვრისათვის, – აცხადებს გიორგი თევზაძე.

– ბატონო გიორგი, ამ დღეებში თქვენ შეხვედით გურამ შარაძის მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ბარათელს, რომელსაც, ციხეში მომხდარი ინციდენტის გამო, ბრალი კიდევ უფრო დაუმძიმეს.

– მე, როგორც მონიტორინგის ჯგუფის წევრი, რამდენჯერმე შევხვდი გიორგი ბარათელს. ის, რაც მან მომიყვა, აღმაშფოთებელია. ფაქტობრივად, ბარათელი უდანაშაულოა. როგორც ბარათელი აცხადებს, სანამ გურამ შარაძეს მოკლავდნენ, ის მანამდე დააკავეს. ბარათელმა არაერთ ფსიქოლოგიურ ზეწოლას გაუძლო. ერთხელ გამოქცევაც მოახერხა, მაგრამ მკლავში დაჭრეს და ისე აიყვანეს. ერთი სიტყვით, აქ გაითამაშეს სცენარი. ახალი ბრალდებით, თითქოსდა, მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თანასაკნელს. ის სიუჟეტი, რომელიც გავრცელდა ტელევიზიით, თითქოსდა, ის მიდის და რაღაცას ურტყამს თანასაკნელს, არ შეესაბამება სიმართლეს. ჯერ ერთი, დასადგენია, არის თუ არა კადრში ნაჩვენები პიროვნება გიორგი ბარათელი, საჭიროა მოხდეს მისი იდენტიფიცირება. მეორეა, რომ საგანგაშოს იქ ვერაფერს ვხედავ. ადამიანს, რომელიც ამდენი წელი ციხეში ზის უდანაშაულოდ, ამდენი ტანჯვა გადაიტანა და ზეწოლა განიცადა, უყენებენ დაუსაბუთებელ ბრალდებას. ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია. მივმართავ გენპროკურატურას, აღნიშნული საკითხი ობიექტურად შეისწავლონ და დაიწყოს რეალური დამნაშავის დაკავებაზე მუშაობა. რაც მთავარია, ხელახლა დაიწყოს გიორგი ბარათელის საქმის შესწავლა.

– ახლა რა ეტაპზეა ბარათელის საქმე? ამ ახალი ბრალდებით მას ბრალი ხომ დაუმძიმდა?

– დიახ, მას ბრალი დაუმძიმდა, მაგრამ თუ მოხდება მისი საქმის ხელახალი შესწავლა, სიმართლე დადგინდება და ბარათელი პატიმრობიდან გათავისუფლდება.

– გურამ შარაძის ქალიშვილი რუსუდან შარაძე ითხოვდა გიორგი ბარათელთან შეხვედრას და, როგორც ვიცი, არ შეახვედრეს. ხომ არ იცით, რატომ უნდა ეთქვათ უარი?

– მე ვიცი, რომ რუსუდან შარაძე ბარათელს არ შეხვედრია. თუ რატომ არ შეახვედრეს რუსუდან შარაძეს ბარათელი, გაუგებარია.

– დრო და დრო ვრცელდება ინფორმაცია, თითქოსდა, პოლიციის განყოფილებებში ადგილი აქვს ჩვენებების გამოძალვას, ამიტომ თქვენი ორგანიზაცია გამოდის ინიციატივით, შს სამინისტროსთან შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც დაკითხვის პროცესს მონიტორინგს გაუწევს. რამდენად რეალურად გეჩვენებათ ეს?

– რადგან მოქალაქეები პრეტენზიებს გამოთქვამენ შს სამინისტროს თანამშრომლების მიმართ, რაც ძალიან ბევრ კითხვას ბადებს საზოგადოებაში, კარგი იქნება მონიტორინგის ჯგუფის შექმნა. არიან მოქალაქეები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი დაკითხვის დროს ადგილი ჰქონდა ზეწოლებს, ვგულისხმობ მუსიკოსის განცხადებას ზეწოლის თაობაზე, ამიტომ უნდა შეიქმნას რაღაც მექანიზმი, რომელიც გააკონტროლებს ამ პროცესს და ასეთ კითხვებს პასუხს გასცემს. ჩვენი ორგანიზაცია გამოვიდა ინიციატივით, რომ შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი შს უწყებაში. ამ ჯგუფში შევალთ უფლებადამცველები, რომლებსაც მოგვეცემა საშუალება, პოლიციის განყოფილებებსა და დაკავების ადგილებში შევისწავლოთ მდგომარეობა და, თუნდაც გამონაკლის შემთხვევებში, დავესწროთ არასრულწლოვანის დაკითხვას. საჭიროა ამისთვის მოიძებნოს რაღაც ფორმა. თუკი პრეტენზიები ექნებათ მოქალაქეებს და ჩვენ მოგვმართავენ, მყისიერად გვქონდეს საშუალება, საკითხი შევისწავლოთ და შევამოწმოთ. გვქონდეს შს სამინისტროს თანამშრომლებთან გასაუბრების უფლება. ამით ყველა იმ პასუხგაუცემელ კითხვებს გაეცემა პასუხი, რომელიც დღეს საზოგადოებაში არსებობს. ჩვენი ორგანიზაცია გამოვიდა ინიციატივით და მიმართა შს მინისტრს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოგვეცეს მონიტორინგის უფლება. თუ მინისტრი თანახმა იქნება, ჩვენ შევხვდებით და გავაცნობთ ჩვენს პოზიციებს.

– შს სამინისტროდან რაიმე პასუხი მიიღეთ?

– ჩვენ გამოგვეხმაურა შს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გიორგი კალატოზიშვილი, რომელიც, გარკვეულწილად, დაინტერესებულია, რომ შს სამინისტრომ ითანამშრომლოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თუმცა, შს მინისტრმა ვერ გამონახა დრო არასამთავრობოებთან შესახვედრად, მაგრამ, ვფიქრობ, ის უახლოეს მომავალში შეგვხვდება.

– თქვენი აზრით, დღევანდელი ხელისუფლების დროსაც ხდება ზეწოლა დაკითხვის დროს?

– საქმე ისაა, რომ ნებისმიერი ხელისუფლების დროს ხდება ზეწოლა. თუმცა, ეს ხელისუფლება ლოიალურადაა განწყობილი საზოგადოების მიმართ. შს სამინისტროსა და მთლიანად სამართალდამცავ სისტემაში არის სამართლიანობის განცდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ ჯერ კიდევ ძველი თანამშრომლები მუშაობენ, რომლებიც წინა ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებდნენ. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, კითხვები ზეწოლის შესახებ არსებობს. შსს ცდილობს, თავის უწყებაში მდგომარეობა გააჯანსაღოს. ამიტომაც სამოქალაქო სექტორის კონტროლი იქნება მნიშვნელოვანი.

– თქვენ ფიქრობთ, რომ შს სამინისტრო არასამთავროების მოთხოვნას დაეთანხმება?

– ვფიქრობ, შს სამინისტრო დაეთანხმება ჩვენს მოთხოვნას, რადგან თავად ამ უწყებაში არიან დაინტერესებული, განხორციელდეს არასამთავრობოების მონიტორინგი. სხვათა შორის, წინა ხელისუფლების დროს ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ისინი დაუშვებლად მიიჩნევდნენ არასამთავროების ჩართვას შს სამინისტროს მონიტორინგში. შევარდნაძის ხელისუფლების დროსაც კი, არასამთავროები მეტ-ნაკლებად ჩართული იყვნენ ამ პროცესებში. არასამთავროების მონიტორინგი შს სამინისტროზე, ეს იქნება დღევანდელი ხელისუფლების ტესტი. თუ ისინი მოგვცემენ საშუალებას და შექმნიან დამოუკიდებელ სტრუქტურას შს სამინისტროსთან, ან კიდევ გენინსპექციასთან, სადაც არასამთავრობოების მონიტორინგის ჯგუფი იმუშავებს. ეს იქნება სამართალდამცავი სტრუქტურის დემოკრატიულობის ხარისხის განმსაზღვრელი ტესტი.

ნანა დევდარიანი: „სააკაშვილი არის ტიპური მაბეზღარა“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მიმდინარეობს საპროტესტო აქციები, რამდენად შედეგიანი იქნება ეს? ან თუ აქვს იმის უფლება, რომ პრეზიდენტის სტატუსით იაროს ამა თუ იმ ქვეყანაში?

– აქვს ამის უფლება. ეს უფლება მან დაიკანონა საკონსტიტუციო შესწორებებით, რომელშიც ჩაიწერა, რომ შემდეგი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება ოქტომბერში. აი, მაშინ უნდა დამდგარიყო ფეხზე მთელი პოლიტიკური სპექტრი, მაგრამ ძალიან დიდი აქტიურობა არ ჩანდა. ახლა ეს ხელმოწერები ბევრად მეტია, ვიდრე საჭიროა, რომ შეიტანო მოთხოვნა რეფერენდუმზე. ისევ ვიმეორებ, ამას კანონის ფარგლებში უნდა მოქმედება. მოწოდებები და სააკაშვილის ნამუსზე შეგდება რომ არ გამოვა, ყველამ კარგად ვიცით, ხომ.

–საკმაო რიხითა და „ნაგლად“ ცდილობს მივიდეს ოქტომბრამდე...

– ასე უჭირავს თავი, თორემ სერიოზულ დისკომფორტშია. არა მარტო ოქტომბრამდე, ის ცდილობს იმას, რომ ოქტომბრის მერეც თავი შეინარჩუნოს პოლიტიკაში. 40 წლის რომ გახდა, ახლა მიხვდა, რომ 40 წლის ზემოთაც ადამიანები ცოცხლობენ და მუშაობენ, რომ დაერია და 40 წლის ზემოთ ყველა გამოყარა სამსახურებიდან. ახლა ფიქრობს იმაზე, რომ დღეს და ხვალ თუ არ იქნება, 4-5 წლის შემდეგ ისევ დაბრუნდეს ხელისუფლებაში და სასურველი პირველი პირის რანგში.

– ქალბატონო ნანა, მინდა, რომ მეორე თემასაც შევეხოთ, თქვენთვისაც ცნობილია, რომ პატრიარქი მოსკოვში იმყოფება ვიზიტით, ითქვა, რომ ამ ვიზიტს პოლიტიკური დატვირთვა უფრო აქვსო. ცნობილია, რომ პატრიარქი რუსეთის პრეზიდენტსაც უნდა შეხვდეს. როგორია თქვენი შეფასებები ამ თემაზე?

– მოდით რა, პირდაპირ ვთქვათ, რუსეთის გარეშე საქართველოს სასიცოცხლო პრობლემები რომ არ გადაწყდება, ეს სააკაშვილმაც ძალიან კარგად იცის, მაგრამ მან შექმნა ისეთი ტერორის ვითარება ქვეყანაში, რომ ადამიანს, რომელიც ამაზე ილაპარაკებდა, მაშინვე შერაცხავდნენ რუსეთის აგენტად. ახლა ვინ არის აგენტი, მაგალითად, ის ადამიანები, ვინც ამბობს, რომ რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორების გარეშე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, ასეთი ადამიანები არიან აგენტები თუ ის ადამიანები, ვინც ეს უაზრო ომი წამოიწყო და ტერიტორიების 20%-ის აღიარების საშუალება მისცა რუსეთს. 93-ში დამთავრდა ომი აფხაზეთში, იმის შემდეგ, 2008 წლამდე, რუსეთს თავშიც არ მოსვლია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება. 2008 წლის ომის შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლების განცხადებამ, რომ ჩვენ გამოვდივართ დსთ-დან, ხელ-ფეხი გაუხსნა რუსეთს. იმიტომ, რომ დსთ-ს დამფუძნებელ დოკუმენტებში პირდაპირ წერია, რომ არ შეიძლება დსთ-ს წევრ ქვეყნებს ერთმანეთის მიმართ ჰქონდეთ ტერიტორიული პრეტენზიები. ისინი ერთმანეთს აღიარებდნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებულ საზღვრებში და პირდაპირ ლანგარზე მიართვეს რუსეთს იმის საშუალება, რომ ეღიარებინა ეს ორი რეგიონი. ვინ არის ახლა რუსეთის აგენტი, გეკითხებით? აღარაფერს არ ვამბობ იმაზე, რომ რუსული კაპიტალი არის დღეს ყველა წამყვან საწარმოში საქართველოში. ხომ ნათელია, ვინც არის აგენტი, არა? ყოველ შემთხვევაში, საკუთარი ხალხის აგენტი რომ არ არის, ეს ფაქტია.

რაც შეეხება პატრიარქის ვიზიტს, ჩვენ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს უზარმაზარი რესურსია ურთიერთობის აღდგენისა და მოლაპარაკების. არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ერთმორწმუნე ქვეყნები ვართ, მეზობლები ვართ და ქვეყანა ბინა არ არის, რომ გაყიდო და სხვაგან გადახვიდე, ან გაცვალო ბინა. ჩვენ მუდამ ერთმანეთის გვერდიგვერდ ვიქნებით და, გვინდა არ გვინდა, ეს ურთიერთობები უნდა მოვაგვაროთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არის ერთადერთი, სადაც საქართველოს სხეული დარჩა მთლიანი. იმიტომ, რომ რუსეთის საპატრიარქომ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქცია აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთშიც. აი, აქ არის ის რესურსი, რომლიდანაც შეიძლება მოლაპარაკებების დაწყება, რაღაცის გარკვევა და რაღაც გონივრულ დასასრულამდე მიყვანა.

– ფიქრობთ, რომ ეს ვიზიტი პოზიტიურია?

– ცალსახად პოზიტიურია. მე, როგორც ამ ქვეყნის ერთი მოქალაქე, მივესალმები საქართველოში პატრიარქ კირილის საპასუხო ვიზიტით ჩამოსვლასაც.

სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერები ავლაბრის რეზიდენციასთან გროვდება

შორენა მარსაგიშვილი

20 იანვარს მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა ამოეწურა. 20 იანვარს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან კოალიცია „ერთსულოვნებამ“ აქციები დაიწყო. მანამდე კოალიციის წევრებმა სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ქვეყნის მასშტაბით მილიონზე მეტი ხელმოწერა შეაგროვეს.

კოალიციის ერთ-ერთი ლიდერის თემურ შაშიაშვილის განმარტებით, პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან 24- საათიან რეჟიმში გრძელდება ხელმოწერების შეგროვება მემორანდუმზე მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით.

– 20 იანვარს, „ღირსების შეკრების“ 2 500 მონაწილემ დააფიქსირა მემორანდუმზე თავისი ხელმოწერა, ხოლო 21 იანვარს 3 000-მდე ადამიანმა მოაწერა ხელი აღნიშნულ დოკუმენტს, – ამბობს შაშიაშვილი.

მისი განმარტებით, ქვეყნის მასშტაბით 21 იანვარს ხელმოწერების რაოდენობამ 10 ათასს გადააჭარბა.

ხელმოწერების შეგროვების პარალელურად, კოალიცია საგანგებო განცხადებას კიდევ ერთხელ ავრცელებს.

– ჩვენ, კოალიცია „ერთსულოვნება“, სადაც გაერთიანებულია სამოცდაათამდე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ერთ მილიონზე მეტ ხელმომწერ, საქართველოს მოქალაქეთა და ქვეყნის უზენაესი კანონის, საქართველოს კონსტიტუციის სახელით, ვაცხადებთ: საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს 2013 წლის 21 იანვრიდან, კონსტიტუციის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ეწურება საპრეზიდენტო უფლებამოსილების ხუთწლიანი ვადა და იგი დღეს 24:00 საათიდან საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის!!!

აღნიშნული მომენტიდან საქართველოს პრეზიდენტის რანგში მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ჩაითვლება ხელისუფლების მითვისებად.

ყველა, ვინც მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს მოიხსენიებს საქართველოს პრეზიდენტის რანგში, დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციას.

მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციას და გააკეთოს განცხადება თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის 76-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ვადის ამოწურვით განპირობებული საპრეზიდენტო უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის გამო და ხელისუფლების უწყვეტობის პრინციპის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სახელით ვაცხადებთ: პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება უნდა დაეკისროს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს. ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ, ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ თქვენი ამომრჩევლების, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ გამოხატული ნება და შეუდგეთ კონსტიტუციით თქვენდამი დაკისრებულ, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას.

ეთხოვოს საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, უზრუნველყონ მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა როგორც საკანონმდებლო, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით.

საქართველოს კონსტიტუციის, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების, პრინციპებისა და დემოკრატიული ღირებულებების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად, მიხეილ სააკაშვილის მიერ, საპრეზიდენტო უფლებამოსილების უზურპაციის შემთხვევაში, თხოვნით მივმართავთ საქართველოს სამინისტროებსა და უწყებებს, მოახდინონ შესაბამისი ადეკვატური რეაგირება.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სახელით, მივმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მასში გაერთიანებულ ყველა სახელმწიფოს მეთაურებს, საქართველოში აკრედიტებულ მათ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებს და ევროპის საპარლამენტო ასამბლეას, თქვენი სიძლიერე არის არა მარტო იმაში, რომ თქვენ პატივს სცემთ საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციას, არამედ იმაშიც, რომ პატივს მიაგებთ სხვა ქვეყნების კონსტიტუციებსაც. ამიტომ პატივი ეცით საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებას განსაზღვრავს ხუთი წლის ვადით, რომლის გასვლის შემდეგ არავის გვაქვს უფლება, მიხეილ სააკაშვილი მოვიხსენიოთ საქართველოს პრეზიდენტის რანგში.

ეს არის სამართლიანობაც და ეს არის ღირსებაც! – ნათქვამია საგანგებო განცხადებაში.

ჯამბულ გამცემლიძე: „კოჰაბიტაცია მკვლელებთან და ნაძირლების ბანდასთან მიუღებელია“

ყველა ვინც ნაციონალურ მოძრაობაშია ან მათ ხმა მისცა, ჩემი შვილის მკვლელი მგონია;

„ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გასამართლდეს ისე, როგორც ნიურბერგში ფაშისტები გასამართლდნენ;

არ მინდა ქვეყანას მართავდნენ მშიშრები, ლაჩრები და ის ადამიანები ვისაც დანაპირების შესრულება არ შეუძლიათ.

2008 წლის 8 მაისს თბილისში, საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ვახტანგ აბუაშვილმა 31 წლის გიორგი გამცემლიძე მოკლა. მოსამართლემ გამცემლიძის მკვლელს 2 წელი შეუფარდა.

მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა ჯამბულ გამცემლიძე, ახალ მთავრობას სამართლიანობის აღდგენისკენ მოუწოდებს და იმედს გამოთქვამს, რომ „სააკაშვილის პირსისხლიანი“ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, დანმაშავეთა სათანადო დასჯა მოხდება.

ჯამბულ გამცემლიძე:

– წინა მთავრობის მიერ ერთ-ერთი გამწარებული მშობელი ვარ, რომელსაც შვილი ბეღურასავით ქუჩაში მოუკლეს. ძალიან მიხარია რომ შეიცვალა პირსისხლიანი მთავრობა, რომელმაც ამდენი მშობელი გაამწარა. დღეს ვინც ნაციონალურ მოძრაობაშია და ვინც მათ მისცა ხმა, ყველა ჩემი შვილის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, გირგვლიანის მკვლელი მგონია. ჩემი შვილის მკვლელს მოსამართლემ 2 წელი შეუფარდა. გირგვლიანის მკვლელები დასასვენებლად ჰყავდათ, ციხეში კი არა. ვაზაგაშვილის მშობლები კი დღემდე არ არიან დაზარალებულად მიჩნეულნი.

– ამ ფონზე, თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეფექტური კოჰაბიტაციის განხორციელება საქართველოში?

– კოჰაბიტაცია ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია მკვლელებთან, ნაძირლების ბანდასთან, ქვეყნის გამსხვისებლებთან, ოჯახების დამანგრეველთან, ამ ყოვლად გახწრნილ ხალხთან. ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს, როგორც ნიუბერში გასამართლდნენ ჰიტლერის პარტიის წარმომადგენლები. ესენი კი დღეს გამოდიან და ასე უტიფრად საუბრობენ კოჰაბიტაციაზე. როგორ არ სცხვენიათ, ან საეღტოდ ქუჩაში როგორ გამოდიან გაუგებარია. რას ფიქრობს მერაბიშვილი ამ ყველაფერზე, როგორ მიდის სახლში მშვიდად, როგორ უყურებს შვილებს, მშობლებს მაშინ, როდესაც ამდენი ოჯახი გაამწარა.

ქიმერიძის პანაშვიდზე ჩავედი, არ შემიშვეს. პოლიცია იდგა შესასვლელში, გარდაცვლილის დეიდაშვილები ვართო და ოჯახთან სამძიმრის სათქმელად შესვლის უფლებაც არ მომცეს. რომელ კოჰაბიტაციაზეა საუბარი არ მესმის, ამათთან არანაირი კოჰაბიტაცია არ შეიძლება.

– თქვენი აზრით, ხომ არ არსებობს საფრთხე, რომ წინა ხელისუფლების დროს დაზარალებულმა ხალხმა სამართლიანობის აღდგენა საკუთარი ძალებით გადაწყვიტონ, რამაც შეესაძლოა შურისძიების ფორმებიც მიიღოს?

– წინა ხელისუფლების დროს დაზარალებული ყველა ადამიანის დაზარალებულად ცნობით, სახელმწიფო ამავდროულად ვალდებულებასაც იღებს დაიცვას მისი უფლებები. ჩვენ ყველა გზა უნდა ვიპოვოთ, რომ მათ ჩვენი სიმართლე დავუმტკიცოთ და მოხდეს სამართლიანობის აღდგენა.

თუ არ აღდგა სამართლიანობა, ქვეყანაში მშვიდობა ვერ იქნება და ამას ქართველი ხალხი ვერ აიტანს. მე არ მინდა ქვეყანას მართავდნენ მშიშრები, ლაჩრები და ის ადამიანები ვისაც დანაპირების შესრულება არ შეუძლიათ. მე იმედი მაქვს ამ მთავრობის და მჯერა, რომ სამართლიანობა საქართველოში აუცილებლად აღდგება. ყველა იმ მინისტრს და პოლიტიკოსს ვისაც დღეს ქვეყნის მართვის სადავეები უპყრია ხელში, ვთხოვ რომ გამოიძიონ შარაძის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, გირგვლიანის, ჟვანიას და ჩემი გარდაცვლილი შვილის საქმეები. მიხეილ სააკაშვილს კი უნდა მივმართავდეთ როგორც – „მიხეილ სააკაშვილი – დამნაშავე ერის წინაშე“.

– ამ ფონზე, რა აზრის ხართ ამნისტიის კანონპროექტთან დაკავშირებით?

– ამნისტიის კანონი უდავოდ ჰუმანური აქტია, თუმცა მძიმე დანაშაულის მქონე მსჯავრდებულები, რომლებსაც მკვლელობები აქვთ ჩადენილი ამნისტიის კანონით არ უნდა გათავისუფლდნენ. დამნაშავე, რომელიც საზოგადოებისთვის საშიშია და რომელმაც სერიოზული ზიანი მიაყენა მთავრობას ან მოქალაქეს, მისი ამნისტირება არ უნდა მოხდეს. წინა ხელისუფლებამ ჩემი შვილის მკვლელი, რომელსაც 2 წელი ჰქონდა მისჯილი, ამნისტიის კანონით რამდენიმე დღით ადრეც კი გათავისუფლა, თუმცა მე ვეთანხემი ამ მთავრობის მიერ პირთა პოლიტპატიმრებად აღიარებას და მათ გათავისუფლებას.

ამ პატიმართაგან ზოგიერთი იმ აქციაზე დააპატიმრეს, სადაც თავადაც ვიმყოფებოდი. პარლამენტის მიერ მათი პოლიტპატიმრებად აღიარება ნამდვილად ჰუმანური აქტია.

ლიკა მეგუთნიშვილი
საინფორმაციო საგენტო „ნიუსპრესი“

ტყე არ შევუნახოთ შვილებსა?!

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

მცირემიწიან და ტყის რესურსებით ღარიბ საქართველოს „ნაციონალური მოძრაობა“ ისე ანიავებდა, თითქოს მათი საკუთრება იყოს. შიშის უზარმაზარი მანქანა, რომელიც შექმნა სააკაშვილის ხელისუფლებამ, თრგუნავდა მოსახლეობას, რომელსაც არ მოსწონდა ბუნების ხელისმოსმით განადგურება. საზოგადოება, როგორც სოციალური ერთეული, შინაგანი პროტესტის მიუხედავად, ვერაფერს ბედავდა, რადგან მერაბიშვილისა და ტრაპაიძის სტატუსები საკმაოდ დიდი იყო. ყოფილი პრემიერის მიერ პროტექტირებული ბიძა სამხრეთ საქართველოში ძვირფასმერქნიან წიწვოვნებს სამერქნედ გადაამუშავებდა, ხოლო ტრაპაძის (რომელიც დასაქმების მინისტრი იყო) „ვუდ ექსპორტი“ ზემოიმერეთის წაბლნარებს „სანიტარულად“ მიუდგა და ასეულობით ჰექტარზე წითელ ნუსხაში შეტანილი წაბლი (მუხაც) გაანადგურა. 2005 წელს დაარსდა „ორჰუსის ცენტრი საქართველოში“. ეუთოს ეგიდით შექმნილი ეს პროექტი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივირესურსების სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით მუშაობს. სწორედ „ორჰუსის“ საზოგადოება ზრუნავს სოციუმის ჩართულობაზე ბუნების დაცვის საკითხებში.

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ორჰუსის კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი დომენია საზოგადოების მონაწილეობა. კერძოდ, ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღებისას. გარდა ამისა, კონვენცია მოითხოვს საზოგადოების მონაწილეობას გარემოსთან დაკავშირებული გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკის მომზადების პროცესში (მუხლი 7) და აღმასრულებელი დებულებების და ან საყოველთაოდ მისაღები სამართლებრივად სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში (მუხლი 8).

საქართველოს ათასგზის შერყვნილი კონსტუტუციის 37-ე მუხლი ძალიან გარკვეით ამბობს, რომ უსაფრთხო გარემოში უნდა ცხოვრობდეს ადამიანი, მაგრამ როგორც ჩანს, არავის ანაღვლებდა მოსახლეობის ბედი.

მუხლი 37

3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

4. სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.

5. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, 3710-სსმI, 62, 05.11.2010წ., მუხ.379

წინასაარჩევნოდ „ქართულმა ოცნებამ“ დაპირება მისცა საქართველოს მოსახლეობას, რომ ბუნების განადგურება შეწყდებოდა. ხალხსაც ის სჯერა, რისი დაჯერებაც უნდა და კოალიციის გამარჯვებისთანავე საზოგადოებამ მძაფრი პროტესტი გამოთქვა ვანდალური აქტების წინააღმდეგ, რომელსაც რატომღაც „სამეწარმეო საქმიანობის ხელშეშლა“ დაარქვეს.

ასე „ვუშლიდი ხელს“ ტრაპაიძის ფირმას, რომელიც ჩემს სოფელში ახორციელებდა წაბლნარების გაჩეხვას. გასული წლის გვიან შემოდგომაზე საქართველოს მთავარ პროკურორსა და ბუნების დაცვის მინისტრს მივმართე, გაერკვიათ აღნიშნული საკითხი. თითქმის მოსახლეობის სრული შემადგენლობა დახვდა ზემოიმერულ პატარა სოფელში ქალბატონ ხათუნა გოგალაძეს და განუცხადეს წესით №1 ბუნებისდამცველს, რომ ირღვეოდა სალიცენზიო პირობები და მწარმოებელი არაფრად აგდებდა ლიცენზიას და საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებულ ნორმებს. მინისტრის ჩამოსვლამდე შევთავაზე „ინფოტივის“ ეთერში „ვუდ ექსპორტის“ წარმომადგენლებს, რომ საჯაროდ განგვეხილა ეს საკითხი. სამწუხაროდ, მწარმოებელთა მხრიდან არავინ მობრძანდა და ნახევარი საათის განმავლობაში ცალმხრივად ვადასტურებდი, რომ „ვუდელები“ იყვნენ ბრაკონიერები. მინისტრმა გოგალაძემ „ბუნებრივი რესურსების სააგენტოს“ 7 კაციან ჯგუფს დაავალა წარმოებული ტერიტორიების მონიტორინგი, რის შედეგადაც გამოვლინდა ძალიან ბევრი დარღვევა(ზარალი შეფასდა 70 ათასი ლარით). ყველაზე მძაფრი განცხადებები ამ საკითხზე პარლამენტის ბუნების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გააკეთა:

„პირადად მე, გიორგი ცაგარეიშვილი და მინისტრი ხათუნა გოგალაძე არავის არ მივცემთ საშუალებას, გაისქელოს ჯიბე, გამდიდრდეს, მოიხვეჭოს მოსახვეჭელი, დაარღვიოს კანონი და ჩვენი საარსებო გარემო მოსპოს. აქ არაა საუბარი მხოლოდ გარემოს დაცვის სფეროს პრობლემებზე, გარემოს დაცვის პრობლემები პირდაპირ გადაჯაჭვულია ბიზნესზე, ეკონომიკის განვითარებაზე და სხვა პრობლემებზე. ჩვენ ყველა სფეროსთან თანამშრომლობა გვსურს. ისეთი წესები უნდა შევიმუშაოთ, რომელიც დღევანდელ ურთულეს სიტუაციას მოერგება. მე ვარ განწყობილი თანამშრომლობისთვის და თანამშრომლობისთვის განწყობილია მინისტრიც“, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

მანვე მეწარმეებს მოუწოდა, რომ ასე საქმიანობის გაგრძელება ქვეყნის განვითარებაზე ეფექტიანად ვერ წაადგება, შესაბამისად, მისი თქმით: „არ შეიძლება მხოლოდ შენი ბიზნესის განვითრებაზე ფიქრობდე და არ ფიქრობდე იმ გარემოზე, რა გარემოშიც შენს ოჯახს ცხოვრება და საქმიანობა უწევს.“

როცა კომისიამ დაასრულა მუშაობა და ტყიბულში გააგრძელეს ანალოგიური საქმიანობა, სოფლის მოსახლეობამ აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს მწარმოებლის მიერ დაქირავებულ რამდენიმე ადამიანს, რომლებსაც „ეპიზოდური შეტევის“ გეგმა ჰქონდათ.

როცა სოფელმა აღარ მისცა მუშაობის საშუალება ფირმას, ფირმის ერთ-ერთი მეწილემ სახლში მომაკითხა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სახლში არ მივიწვიე ადამიანი, რომელიც ჩემს ჭიშკართან შეჩერდა და ვუთხარი, რომ არ მინდოდა ვინმეს ეჭვი შეჰპარვოდა ჩემს ბუნებისდამცველობაში. მოსახლეობასთან ერთად განვუცხადე ბატონ მალხაზ მასხარაშვილს, რომ სოფლის აბსოლუტური უმრავლესობა არ მისცემდა წაბლნარებისა და საერთოდ, ბუნების გაჩეხვის უფლებას. აქვე დავამატებ, რომ მკვახედ განვუცხადე, რომ იმ ადამიანის მსგავსად არ მოვიქცეოდი, რომელმაც პირველმა დაიწყო პროტესტი ტყის ჭრაზე და ბოლოს „ვუდ ექსპორტის“ თანამშრომელი გახდა(ეჭვიც არ მეპარება–ხელფასის გამო!)

არც ისე დიდი ხნის წინ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან კომენტარისთვის მომიწია მისვლამ. კომენტირების შემდეგ გამგებელმა მაჩვენა „ვუდ ექსპრტის“ მიმართვა, სადაც ეწერა, რომ სოფლის უმნიშვნელო ნაწილი ჩემი მეთაურობით ხელს უშლიდა სამეწარმეო საქმიანობას. მწარე ღიმილით ავუხსენი გამგებელს, რომ სოფლის აბსოლუტური უმრავლესობა წინააღმდეგია ტყის გაჩეხვის და ამის დასადასტურებლად ვთხოვე, ადგილზე გასცნობოდა სიტუაციას. გამგებლის მოადგილემ აღნიშნულზე სოფელს მოაკითხა, შეხვედრა მოხდა საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც დაახლოებით ასამდე ადამიანიდან ხუთიც არ იყო ტყის გაჩეხვის მომხრე.

კიდევ ერთხელ „ახალი თაობის“ ფურცლებიდან მოვუწოდებ „ვუდ ექსპორტის“ მესვეურებს, სადაც უნდათ მასმედიის საშუალებების თანდასწრებით გავმართოთ მსჯელობა და საზოგადოება დარწმუნდება, რომ სოფლის პოზიცია არის მყარი–ტყე არ უნდა გაიჩხეოს. მობრძანდეს 70% -იანი წილის მქონე ტრაპაიძე ან 30 %-იანი მალხაზ მასხარაშვილი და კიდევ ერთხელ მუხლობრივად ავუხსნი, თუ რას აშავებენ ტყის რეწვის დროს.

სამწუხაროა, რომ მეწარმესა და სოფელს შორის საერთო ენა ვერ გამოინახა. 23 იანვარს უკვე პოლიციაში მიბარებენ იმისათვის, ალბათ რომ გამაფრთხილონ სამეწარმეო საქმიანობაში ხელის შეუშლელობაზე.

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ჩემთან შეხება, კარგად მოეხსენება, რომ ჩემი პრინციპულობა სიჯიუტემდეც მიდის, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არაფერ შუაშია. სოფელს კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ მასალის ველური ფორმბით წარმოებამ ტყისპირა ზოლის ბალახეული საფარი გაანადგურა, იმღვრევა სასმელი წყაროს წყალი (მათ შორის „თამარის წყაროდ“ წოდებულიც).

აქვე მადლობა მინდა გადავუხადო ტელეკომპანია „მაესტროსა“ და „მეცხრე არხს“, სააგენტო „ინფო 9-ს“, რომლებიც ოპერატიულად აშუქებდნენ სოფლის გასაჭირს (რაც შეეხება „რუსთავი 2-სა“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, რომელთაც კომენტირებისას ავუხსენი, რომ არანაირად არ ჰყავთ 85 ადამიანი დასაქმებული ტყის რეწვაში და კიდეც რომ ჰყოლოდათ, მაინც დარღვევის საკონპესაციო ქმედება არ გახლადათ, საერთოდ არ გაუშვეს ეთერში).

„საზოგადოებრივ მაუწყებელს“, რომელიც მოსახლეობის ფულით ფინანსდება, კიდევ ერთხელ მივმართავ, რომ გამოუშვას გადამღები ჯგუფი, რომელიც თვალნათლივ დაინახავს, რა ვანდალიზმს აქვს ადგილი დაახლოებით 1100 ჰექტარზე! მოჭრილია ის ხეები, რომლებიც ბევრად უფრო საღად გამოიყურება, ხოლო დაავადებულები არც დამღადასმულია და არც მოჭრილი. დაავადებული ხის მერქნის ფასი ძალიან დაბალია, ხოლო წაბლის საღი მერქანი დასავლეთ ევროპაში სისხლის ფასია!

ერთხელ კიდევ მოვუწოდებ მერქნის მწარმოებელ ფირმებს: გააუქმებინონ ის ლიცენზიები, რომლითაც საბოლოოდ ანადგურებენ წაბლნარებსა და სხვა ძვირფასმერქნიან მცენარეებს. იცოდეთ, სანამ მოსახლეობა იქნება სოფელში, მანამდე დაიცავს იმ რესურსს, კოლხური პოლიდომინატური ტყე რომ ჰქვია.

ვნახოთ, რას მეტყვიან პოლიციაში, შიშის შეგრძნება ნამდვილად არ მაქვს სამართალდამცავებთან ურთიერთობისას. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ბურჯანაძე „მეორე კაცი“ იყო და მისი აწ გარდაცვლილი მამამთილი დაუპირისპირდა ჩემი სოფლის სკოლის პედაგოგებს პოლიტიკური ნიშნით, მაშინაც შიშისგან არსად გავპარულვარ. მით უფრო, ახლა, როცა ღარიბაშვილის უწყება ბევრად უფრო ცივილიზებულად მიმაჩნია, ძალიან ამაყად შევაბიჯებ პოლიციაში!

მხოლოდ ერთს ვდარდობ, პოლიციის მიწვევის გამო 23 იანვარს რამდენიმე გაკვეთილის გაცდენა მომიწევს... თუმცა ტყის დაცვა ახლა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გაკვეთილის ჩატარება!

და ბოლოს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ სულხან მახათაძეს და საქართველოს პარლამენტის ჭიათურის მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ მალხაზ წერეთელს, ვთხოვ, რომ ადგილზე გაეცნონ სიტუაციას. ვიცი, რომ მუნიციპალური ხელისუფლება ვერ გააუქმებს მწარმოებელს ლიცენზიას, მაგრამ თავისი თვალით შეხედონ რა სურს პატარა სოფლის მოსახლეობას და რას აკეთებს „ვუდ ექსპორტი“.

სოფლის მოსახლეობა (იმედია, საზოგადოებად ჩაგვთვლიან) აპირებს, რომ ტყეებში ხეების ქვეშ გაჩერდნენ და ამით ხელი შეუშალონ ვეებერთელა წაბლების მოჭრას. ისე, სოფელი რომ ღირსებას იბრუნებს, ამაზე ბევრი რამე მეტყველებს. ღია ცის ქვეშ დაყრილ მძიმე ტექნიკასაც არ აზიანებენ და აყალმაყალის გარეშე იცავენ ხეებს.

გურამ საღარაძე დიდუბის პანთეონში დაკრძალეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გურამ საღარაძემ პროფესია მამის გავლენით აირჩია. მისი მამა გიორგი საღარაძეც მსახიობი იყო. რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა განსხვავებული ხელწერისა და ინდივიდუალობის მქონე რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი. მან შემოიკრიბა ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფი, რომელიც ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ ,,შვიდკაცას" სახელით გაიცნო, მასში გაერთიანდნენ მიხეილ თუმანიშვილი, მედეა ჩახავა, რამაზ ჩხიკვაძე, გიორგი გეგეჭკორი, ეროსი მანჯგალაძე, გურამ საღარაძე და ბადრი კობახიძე. გურამ საღარაძის გარდაცვალებით დასრულდა „შვიდკაცას" ეპოქა, რომელმაც ქართულ კულტურასა და ხელოვნებას დაუვიწყარი სპექტაკლები აჩუქა. 2006 წლის 13 ნოემბერს რუსთაველის თეატრის წინ მადლიერმა საზოგადოებამ გურამ საღარაძეს ვარსკვლავი საზეიმო ვითარებაში გაუხსნა.

გურამ საღარაძემ თავისი ბოლო სპექტაკლი რუსთაველის თეატრში 12 თებერვალს თავისივე დაბადების დღეზე ითამაშა. გოჩა კაპანაძის მიერ დადგმული სპექტაკლი „მზის დაბნელება საქართველოში" ცნობილი ქართული ვოდევილების საფუძველზე შეიქმნა. მასში გურამ საღარაძე ვამეხის როლს ასრულებდა. სპექტაკლის ბოლოს სცენაზე მყოფმა მსახიობებმა და დარბაზში შეკრებილმა მაყურებლებმა მხურვალე ოვაციებით და ხანგრძლივი აპლოდისმენტებით დაჯილდოვეს იუბილარი მსახიობი, რომელიც მდაბლად უკრავდა ტაშს მაყურებელს, რომელიც მას ბისზე იწვევდა და კულისებში გასვლის საშუალებას არ აძლევდა.

გურამ საღარაძე იუბილედან 5 დღის შემდეგ 84 წლის ასაკში საკუთარ სახლში მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი მეგობრების ინფორმაციით, გურამ საღარაძე რეზო მირცხულავას დაკრძალვაზე იმყოფებოდა, სახლში მისვლისას კი დივანზე წამოწვა და გარდაიცვალა. სამოქალაქო პანაშვიდები მის სახლში გაიმართა, დაკრძალვის წინა დღეს კი მსახიობის ცხედარი რუსთაველის თეატრში გადაასვენეს, სადაც სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა. მსახიობის კოლეგების, მეგობრებისა და რიგითი მაყურებლების გარდა, ხელოვანთან გამოსამშვიდობებლად პოლიტიკოსებიც მივიდნენ. სამოქალაქო პანაშვიდი რუსთაველის თეატრში 12 საათზე დაიწყო და 14 საათზე უნდა დასრულებულიყო, თუმცა ხალხის უწყვეტი ნაკადის გამო, სამოქალაქო პანაშვიდის დასრულება გაჭიანურდა. გურამ საღარაძესთან გამოსამშვიდობებლად საქართველოს პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ოჯახთან ერთად მივიდა. სამძიმარს მსახიობის მეგობრები, კოლეგები, ოჯახის წევრები და მისი გულშემატკივრები იღებდნენ. სამოქალაქო პანაშვიდის მსვლელობისას დიდ ეკრანზე ცოცხლდებოდა გურამ საღარაძის მიერ შესრულებული გმირები, ისმოდა მისი მიერ წაკითხული ლექსები. გაიმართა სამგლოვიარო მი-



ტინგიც, რომელზეც გამოსამშვიდობებელი სიტყვა საზოგადოებისთვის ცნობილმა ადამიანებმა და გურამ საღარაძის მეგობრებმა წარმოთქვეს. როგორც სიტყვით გამოსვლისას პრემიერ მინისტრმა აღნიშნა, გურამ საღარაძის გარდაცვალება ქართული საზოგადოებისთვის დიდი დანაკლისია:

– გურამ საღარაძე ქართველ მსახიობთა იმ თაობის წარმომადგენელი იყო, რომლებმაც ქართულ თეატრში მთელი ეპოქა შექმნეს. ის 50 წლის განმავლობაში იდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე და უამრავი საყვარელი როლი შეასრულა. სამძიმარს ვუცხადებ საქართველოს დიდი მსახიობისა და დიდი ადამიანის გარდაცვალების გამო, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

კინოსა და თეატრში შექმნილი ათეულობით დასამახსოვრებელი როლი და განსაკუთრებული ემოციით წაკითხული ქართული პოეზიის ნიმუშები – ასე ახასიათებდნენ რუსთაველის თეატრში შეკრებილები ლეგენდარულ მსახიობს.

– გურამ საღარაძე ქართველ არტისტთა იმ თაობას წარმოადგენდა, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართულ თეატრში. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი იდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე და არაერთი დაუვიწყარი როლი აჩუქა მაყურებელს. გურამ საღარაძემ, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატმა, სრულიად ახლებურად გაიაზრა ქართული პოეზიის შედევრები და ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშები დაგვიტოვა. გურამ საღარაძის არტისტიზმი და სამსახიობო ხელოვნება სათანადოდ დააფასა ქართველმა მაყურებელმა, მას აღიარება და სიყვარული არასოდეს მოჰკლებია, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ექვსი ათეული წელი რუსთაველის თეატრის სცენაზე, საოცრად ემოციური მსახიობის უამრავი დასამახსოვრებელი სახე და სცენიდან უნიკალურად წაკითხული ლექსები – გურამ საღარაძე ასეთად დაამახსოვრდება ქართველ მაყურებელს.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, სცენური სიტყვის დიდოსტატი გურამ საღარაძე. მეტად მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქართული თეატრის წინაშე და ძნელად წარმოსადგენია მის გარეშე მშობლიური რუსთაველის თეატრი, სადაც სამოც წელზე მეტი გაატარა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო სამძიმარს უცხადებს გურამ საღარაძის ოჯახს, კოლეგებსა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს, – ნათქვამია კულტურის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

გიგი უგულავა, თბილისის მერი:

– გულითადად თანავუგრძნობ გურამ საღარაძის ოჯახსა და მთელ საქართველოს დიდი ქართველი ხელოვანის გარდაცვალების გამო. გურამ საღარაძე ათწლეულების განმავლობაში ამშვენებდა ქართულ თეატრალურ სცენასა და კინემატოგრაფს. მის გარეშე წარმოუდგენელია ქართული კულტურის მარგალიტებად მიჩნეული მრავალი ფილმი და სპექტაკლი. ბატონმა გურამმა გვაგრძნობინა ქართული ლექსის ჭეშმარიტი ძალა. თაობებისთვის დაუვიწყარი იქნება მისი შეუდარებელი ხმა, რომელიც უკვე განუყოფელია ქართული პოეზიის შედევრთაგან. გურამ საღარაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია სრულიად საქართველოსთვის.

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:

– ვწუხარ უბადლო ქართველი მსახიობის, მრავალმხრივი შემოქმედისა და ქართული თეატრის კლასიკოსის – გურამ საღარაძის გარდაცვალების გამო. ბატონ გურამს არაერთი შესანიშნავი პერსონაჟი გაუცოცხლებია რუსთაველის თეატრის სცენაზე. მისი მონაწილეობით შემდგარი ყოველი სპექტაკლი სულიერ საზრდოს აწვდიდა და აღაფრთოვანებდა მაყურებელს. საზოგადოების საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მისი ღირსეულად განვლილი ცხოვრებისა და საინტერესო, მრავალფეროვანი შემოქმედების აღიარებაა. მისი შემოქმედება სამუდამოდ ეკუთვნის ქართველ ხალხს, მის აწმყოსა და მომავალს. სრულიად საქართველოსთან ერთად ვიზიარებ მისი გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილსა და მწუხარებას. გურამ საღარაძის გარდაცვალებით დღეს საქართველომ დიდი დანაკლისი განიცადა.

კახი კალაძე, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი:

– მინდა ჩემი ღრმა მწუხარება გამოვთქვა ცნობილი ქართველი მსახიობის, ნიჭიერი და გამორჩეული ადამიანის – გურამ საღარაძის გარდაცვალების გამო და მივუსამძიმრო მის ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს.

ირაკლი ალასანია, თავდაცვის მინისტრი:

– ბატონი გურამ საღარაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია როგორც საქართველოსთვის, ისე მსოფლიოსთვის. პირველად გურამ საღარაძის როლი „კავკასიური ცარცის წრეში" ვიხილე და იმდენად შთამბეჭდავი იყო, ყველაზე ახლობელი და საყვარელი მსახიობი გახდა ჩემთვის. ძალიან ვწუხვარ მისი გარდაცვალების გამო.

დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე:

– ჩემთვის პირადად ძალიან ბევრი რამ ქართულ ხელოვნებაში უშუალოდ და პირდაპირ არის დაკავშირებული ბატონ გურამ საღარაძეთან. ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანის გარდაცვალება ვერ ხერხდება. მან იმდენი რამ დაგვიტოვა ჩვენ და მომავალ თაობებს, რომ მისი გარდაცვალება და ჩვენგან წასვლა უბრალოდ შეუძლებელია.

გურამ ოდიშარია, კულტურის მინისტრი:

– გურამ საღარაძე უდიდესი მასშტაბების ხელოვანი იყო. ის არა მარტო საყვარელი ადამიანი იყო, არამედ დიდი მსახიობი იყო. დიდი მსახიობი და საყვარელი კი ერთმანეთისგან განუყოფელია. ახლაც თვალწინ მიდგას ის როლები, რომლებიც ბატონმა გურამმა თავისი მოღვაწეობის პერიოდში შეასრულა. ეს უპირველესად სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე" მახსენდება და განსაკუთრებით როგორ კითხულობდა ლექსებს. მის მიერ წაკითხული ლექსები დარბაზშიც ჟღერდა და ეს არის განუმეორებელი, დიდოსტატური, მხოლოდ მისეული მანერა ლექსის კითხვისა.

გიზო ჟორდანია, რეჟისორი:

– ასაკს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ეს დიდი დანაკარგი იყო ქართული კულტურისთვის, ქართული თეატრისთვის, ქართველი ინტელიგენტებისთვის, ყველასთვის.

ჯემალ ღალანიძე, მსახიობი:

– გურამის გარდაცვალება ჩემთვის უდიდესი ტრაგედიაა და მჯერა, რომ არა მარტო ჩემთვის. ვწუხვარ, რომ მან ასე უცბად დაგვტოვა და დაგვიტოვა უდიდესი სევდა და ტკივილი. ჩვენ ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა, თითქმის ყოველდღე ვეხმიანებოდით ერთმანეთს, ვმეგობრობდით ოჯახებით და ახლა მასზე წარსულში საუბარი ძალიან მიჭირს.

მურმან ჯინორია, მსახიობი:

– მიუხედავად იმისა, რომ ბატონი გურამი 84 წლის სულ რამდენიმე დღის წინ გახდა, ძალიან მხნედ იყო. ასაკიც კი არ ეტყობოდა. საოცარი ადამიანი იყო, ამ ასაკშიც სცენაზე იდგა და მუშაობდა. ბოლო სპექტაკლი გარდაცვალებამდე რამდენიმე დღის წინ, თავისივე დაბადების დღეზე ითამაშა და საოცრად თბილი და ხანგრძლივი აპლოდისმენტები დაიმსახურა. ვწუხვარ, რომ ასე მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან და საოცარი ტკივილი დაგვიტოვა.

ნიკა წულუკიძე, თეატრმცოდნე:

– ბატონი გურამი იმ დღეს ვნახე, როცა გარდაიცვალა. როცა მოვიკითხე, როგორ ხართ ძია გურამ-მეთქი, მითხრა, რა ვიცი, ცოტა გული მიჩმახებსო. ის იყო ერთ-ერთი უკანასკნელი მსახიობი იმ გენიალური „შვიდკაცასი", რომელშიც ქართული თეატრის ცნობილი მსახიობები იყვნენ გაერთიანებული. სამწუხაროა, რომ ბატონი გურამი ასე უეცრად წავიდა ჩვენგან და ასეთი დიდი ტკივილი დაგვიტოვა, მაგრამ არიან მის მიერ წაკითხული ლექსები, რომელიც თაობებს გადაეცემა და ყოველთვის გამოიწვევს აღტაცებას.

ეკა ირემაშვილი

SMS-განცხადებები – 3090

● ცენტრალური გათბობა უმოკლეს დროში (2-3 დღე)! საუკეთესო ფირმების („ბოშისა" და „არისტონის") ქვაბებით, საუკეთესო მასალით, გარანტიითა და ოპტიმალური ფასებით – მაღაზიისა და ბაზრის პრეისკურანტებით. ტელ: 595-67-82-62, 267-82-62 – ემზარ ამნიაშვილი.

● ძალიან იაფად! მუხრან-თელეთში, წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, 275 კვ.მ. 2-სართულიანი სახლი, მონტერეის გადახურვით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, რკინის კარებით და ჟალუზებით, მუდმივი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 18 კმ-ში. მიმდინარეობს სველი წერტილების მონტაჟი. საწყისი ფასი 30.000 დოლარი. შეიძლება განვადება ტელ.: 592-49-85-55; 595-47-85-55. გია.

ფსორიაზისაგან განვიკურნე

მინდა ყველას გავუზიარო ჩემი სიხარული.

18-წლიანი ავადმყოფობის შემდეგ განვიკურნე ფსორიაზისგან. ექიმები მეუბნებოდნენ, ეს დაავადება უკურნებელიაო. მეც უიმედოდ ვიყავი იქამდე, სანამ გავიგებდი ფურცელაძის მალამოს სასწაულის შესახებ. დავიწყე მკურნალობა და ერთ კვირაში ვიგრძენი შვება. თვენახევრის შემდეგ კი დაავადება საერთოდ გაქრა, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდი.

დიდი მადლობა ქალბატონ ჯულიეტა ფურცელაძეს იმ დიდი სიკეთისათვის, რაც მე მან მომანიჭა.

აღნიშნული მალამო აგრეთვე კურნავს სოკოს, სებორეას, ნეიროდერმიტს.

ჩემი მეუღლე კი ქალბატონმა ბუასილისგან განკურნა.

ჯულიეტა ფურცელაძის ტელეფონები: 223-87-18; 599-57-68-57.

განცხადებები

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის განმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

17-წლამდელებმა მარცხით დაიწყეს

საქართველო – ბელგია 2:3

1:0 კერძევაძე (6), 1:1 ბაკალი (28პ), 2:1 თევზაძე (50), 2:2, 2:3 კანეპეელი (53, 68)

საქართველო: გოშაძე, ველიაშვილი, მალანია (კაპ), მარგველაშვილი, ტაბიძე, შულაია (რ.ჭანტურია 71), თევზაძე, გოროზია (ჩაბრაძე 30), ხარაიშვილი (ბერიძე 62), ზარანდია, კერძევაძე

ბელგია: დე ბული, მარიენი (მატეისი 58), ბოსარტსი, ისკი, ბრუვერსი, ალესანდრო, კანეპეელი, ბურარი, ბაკალი (ნოტებუმი 80), დე ვალე (ვანდერუტი 58), დე მენი (კარლონე 58)

გაძევება: ველიაშვილი (79)

საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა მინსკის საერთაშორისო ტურნირზე პირველი მატჩი ითამაშა და სამწუხაროდ, ბელგიელ თანატოლებთან მინიმალური ანგარიშით – 2:3 დამარცხდა. არადა, ჩვენი მეტოქე ორჯერ იყო მდევრის როლში, თუმცა, მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება ვერ შევძელით. არადა, ეს ის ბელგიის ნაკრებია, რომელთანაც, დაახლოებით ერთი წლის წინ ჩვენი გუნდი დიდი ანგარიშით დამარცხდა. დღევანდელი მარცხის მიუხედავად, სასიამოვნო ფაქტი ისაა, რომ აშკარაა დევდარიანის ფორმაციის ნაკრების წინსვლა და პროგრესი.

გიორგი დევდარიანის გუნდმა მატჩი შესანიშნავად დაიწყო და უკვე მე-6 წუთზე ილია კერძევაძის გოლით დაწინაურდა, რომელიც ზუსტი და გამიზნული საგოლე გადაცემით გაგი მარგველაშვილმა მოამარაგა. ამის შემდეგ, საქართველოს ნაკრებმა ბურთზე კონტროლიც დაამყარა და შეიძლება ითქვას, რომ ტაიმის საწყისი 20-25 წუთი მეტოქეს თავისი გააზრებული თამაში მოახვია თავს. თუმცა, 28-ე წუთზე, საჯარიმოში მეტოქესთან ორთაბრძოლაში შესულმა გიორგი თევზაძემ მოწინააღმდეგეს ოდნავ უბიძგა და მატჩის ახალგაზრდა, გამოუცდელ არბიტრსაც არ უყოყმანია, ისე დანიშნა თერთმეტმეტრიანი. მეკარე ოთო გოშაძემ დარტყმის კუთხე კი გამოიცნო, მაგრამ ზაკარია ბაკალიმ ძალზე ზუსტად და ძლიერად „გაისროლა“ მარჯვენა მაღალ კუთხეში – 1:1.

გიორგი თევზაძემ თავისი შეცდომა მეორე ტაიმის 50-ე წუთზე გამოასწორა, როცა შორეული, უძლიერესი და ულამაზესი დარტყმით წინ გაიყვანა საქართველოს ნაკრები – 2:1. გოლი იმდენად ლამაზი გამოვიდა, რომ მატჩზე მოსული გულშემატკივრები და სპეციალისტები ემოციებს ვერ მალავდნენ. სამწუხაროდ, მეტოქემ ანგარიშის გათანაბრება სულ ცოტა ხანში მოახერხა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მეტად საეჭვო ვითარებაში. ბელგიელთა მორიგი შეტევისას, გოშაძემ ურთულესი დარტყმის მოგერიება შეძლო, რის შემდეგაც, ბურთი ჯერ ზედა ძელს მოხვდა, ძირს დაეცა და მას კვლავ ქართველი მეკარე დაეუფლა. გვერდითი მსაჯის აზრით კი, ბურთმა ხაზი გადაკვეთა და მთავარმა მსაჯმაც გოლი ჩათვალა. ამ ფაქტმა, ჩვენი გუნდი ძალიან დააბნია. ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელები არბიტრებს უმტკიცებდნენ, რომ ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს, თუმცა ამაოდ. გამარჯვების გოლი კი, ბელგიელებმა 68-ე წუთზე გაიტანეს. მიუხედავად ჩვენი თავდამსხმელების აქტიურობისა და თავგანწირული ბრძოლისა, ანგარიშის გათანაბრება ვეღარ შევძელით და ეს ძალზე მნიშვნელოვანი, სადებიუტო მატჩი მინიმალური ანგარიშით დავთმეთ. მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე, უხეში თამაშისთვის მოედნიდან ველიაშვილი გააძევეს, რომელიც მომდევნო შეხვედრაში ნაკრებს ვერ დაეხმარება.

დღის სხვა შეხვედრებში უკრაინელებმა 6:0 სძლიეს მოლდოველებს. რუსეთის ნაკრებმა 5:1 დაამარცხა ლატვია. ბელარუსის გუნდმა კი, 3:0 მოუგო ლიტვის ნაკრებს.

მორიგ მატჩში 17-წლამდელებს უკვე მასპინძელ ბელარუსის ნაკრებთან მოუწევს დაპირისპირება.

ქართული გუნდების ზამთარი

სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისს დინამოელები თურქეთში განაგრძობენ. გუნდი დღეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ანთალიურ შეკრებაზე თბილისი-სტამბულის რეისით გაემგზავრა.

დედაქალაქელები მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში სასტუმრო „ბლუე უოტერსში“ იცხოვრებენ.

თბილისიდან დუშან უჰრინმა შეკრებაზე 24 ფეხბურთელი იახლა:

გიორგი ლორია, თორნიკე ზარქუა, ლევან ტყეშელაშვილი, ჯაბა დვალი, ნიკა კვეკვესკირი, გიორგი გველესიანი, გივი კვარაცხელია, ირაკლი ძარია, ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, გიორგი სეთურიძე, ჯაბა ჯიღაური, ლევან ხმალაძე, გიორგი რეხვიაშვილი, ნიკა დიასამიძე, დავით ხოჭოლავა, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი პაპავა, გიორგი მერებაშვილი, ლაშა შინდაგორიძე, არჩილ ტვილდიანი, დარკო გლიშიჩი, კარლეს კოტო და მიკელ ალვარო.

დინამოელებს თურქულ შეკრებაზე შეუერთდება ჩისკო მუნიოსი.

გუნდი მოსამზადებელ ეტაპზე პირველ სპარინგ-მატჩს დღეს, ყაზახეთის ჩემპიონთან, ყარაგანდის „შახტიორთან“ გამართავს.

ქუთაისის „ტორპედოს“ ღირსებას ამიერიდან გიორგი ონიანი დაიცავს. 29 წლის ცენტრალური მცველი რიონისპირულ გუნდში გორის „დილადან“ გადმოვიდა, სადაც 26 მატჩში 3 გოლი გაიტანა. იქამდე იგი სამ-ნახევარი სეზონის განმავლობაში „ზესტაფონში“ თამაშობდა (140 მატჩი – 8 გოლი). აღსანიშნავია, რომ ზემოიმერლებთან ერთად მან ორჯერ იზეიმა ჩემპიონობა და ერთხელ სუპერთასის მოგება. გარდა ხსენებული გუნდებისა, მისი საკლუბო კარიერის სიაში ასევე არიან: თბილისის „დინამო“, თბილისის „ლოკომოტივი“, ბათუმის „დინამო“, რუსთავის „მეტალურგი“ და გერმანიის მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელი იენის „კარლ ცეისი“.

გამოცდილმა ფეხბურთელმა „ტორპედოსთან“ მიმდინარე სეზონის ბოლომდე გააფორმა შრომითი ხელშეკრულება. შესაბამისად, იგი ქუთაისურ გუნდთან ერთად ესპანეთში გასამართ შეკრებაზეც წავა.

არგავარდნისთვის მებრძოლ ბათუმის „დინამოში“ ცვლილებებია. ადრე ვწერდით, რომ ბათუმელებმა ორი ფეხბურთელი დაიმატეს – 30 წლის მცველი გიგა ჟვანია მარტვილის „მერანიდან“ და 23 წლის მცველი ჯემალ გაბუნია ფოთის „კოლხეთიდან“.

ახალწვეულებს კიდევ სამი ფეხბურთელი დაემატა: 27 წლის მცველი გიორგი ტყეშელაშვილი ფოთის „კოლხეთიდან“, 31 წლის შუახაზელი ალექსანდრე კოშკაძე „ზუგდიდიდან“ და 28 წლის ნახევარმცველო კობა შალამბერიძე, რომელიც ბოლოს პოლონურ „ფლოტაში“ თამაშობდა.

მეორე ეტაპისათვის მზადებას შეუდგა მარტვილის „მერანიც“. გუნდი ამჟამად მარტვილში იმყოფება, 12 თებერვლიდან კი 10-დღიან შეკრებაზე ურეკში წავა.

უკვე ცნობილია იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებმაც გუნდი დატოვეს: გიორგი მჭედლიშვილი კარიერას „ვიტ ჯორჯიაში“, ხოლო გიგა ჟვანია ბათუმის „დინამოში“ გააგრძელებს. კვლავ გაურკვევლობაა საბა ლომიასთან დაკავშირებით, რომელიც მართალია, „ზესტაფონის“ საკუთრებაა, თუმცა „მერანთან“ სეზონის ბოლომდე აკავშირებს ხელშეკრულება.

რაც შეეხება ახალწვეულებს: კლუბთან კონტრაქტს დღე-დღეზე გააფორმებს საქართველოს ჩემპიონატის ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი გია მეგრელაძე.

34 წლის ფორვარდს, გარდა ეროვნული ჩემპიონატისა, სხვადასხვა დროს საბერძნეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და უზბეკეთის გუნდებშიც უთამაშია.

ბოლო პერიოდში მეგრელაძეს ოჯახური პრობლემების გამო (მამა გარდაეცვალა), თამაშისათვის თავი განებებული ჰქონდა. თუმცა, როგორც ჩანს, ფეხბურთს უბრუნდება.

მოამზადა მიხეილ ყორეულიანმა

აღმასკომმა კალენდარი დაამტკიცა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში სამი საკითხი იყო. სხდომაზე 2012-13 წწ 24-ე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპის კალენდარი დამტკიცდა. ზამთრის შესვენების შემდეგ სეზონი 22 თებერვალს დაგეგმილი სუპერთასით გაიხსნება. „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონზე ერთმანეთს „ზესტაფონი“ და გორის „დილა“ დაუპირისპირდებიან. 26 თებერვალსა და 2 მარტს დავით ყიფიანის სახელობის თასის მერვედფინალური ეტაპის მატჩები გაიმართება. ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი კი 23-ე ტურის მატჩებით 9 მარტს განახლდება და 18 მაისს დასრულდება. დავით ყიფიანის სახელობის თასის გამარჯვებული მესხის სტადიონზე 23 მაისს გამოვლინდება.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დამტკიცდა, რომ უმაღლესი ლიგის კლუბებში უცხოელი ფეხბურთელების ტრანსფერისთვის დაწესებული 15.000-ლარიანი გადასახადი გაუქმდა. ლეგიონერის ჩამოყვანის მსურველ კლუბს აღნიშნული თანხის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუწევს, თუ კლუბში სამზე მეტი უცხოელი ფეხბურთელი ითამაშებს. პირველ ლიგაში დასაშვებია ორი უცხოელი ფეხბურთელის თამაში გადასახადის გარეშე, მესამე და ყოველ მომდევნო მოთამაშეზე კი კლუბს 5.000 ლარის გადახდა მოუწევს. მეორე ლიგას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცვლილებები არ შეეხო.

აღმასკომმა ნდობა გამოუცხადა ყველა ასაკობრივი ნაკრების სამწვრთნელო შტაბს.

აღმასკომზე ამ საკითხის გატანა იმიტომ გახდა საჭირო, რომ კახა კაჭარავამ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცის პოსტი დატოვა. ამ თანამდებობაზე გია ცეცაძე იმუშავებს, ასაკობრივი ნაკრებების სრული სამწვრთნელო შტაბები კი ასე გამოიყურება:

19-წლამდელები: გია ცეცაძე, ზაზა ბაკურაძე, თემურ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ჭანტურია;

18-წლამდელები: ვასილ მაისურაძე, მერაბ კაციტაძე, თემურ ჩარკვიანი;

17-წლამდელები: გიორგი დევდარიანი, გიორგი მიქაძე, ირაკლი ბალაძე, ივანე ლუცენკო;

16-წლამდელები: ნოდარ აკობია, ჯუმბერ ბურჯანაძე, ზვიად სტურუა;

15-წლამდელები: გოჩა ტყებუჩავა, გიორგი ნემსაძე, ზვიად სტურუა;

14-წლამდელები: გოჩა ავსაჯანიშვილი, ვახტანგ იაგორაშვილი, ტარიელ კანდელაკი, აკაკი დევაძე;

13-წლამდელები: ოთარ კორღალიძე, ლევან ბარათაშვილი, ვასილ მიქაშავიძე, აკაკი დევაძე.

აღმასკომზე დაკმაყოფილდა სამი წევრის წერილი, აღმასრულებელი კომიტეტიდან გასვლის თაობაზე.

სფფ-ს აღმასკომი დატოვეს ლადო ვარძელაშვილმა, დავით ნამგალაურმა და გიორგი აბესალაშვილმა.

სფფ-ს ყრილობის ჩატარებამდე აღმასკომში ვაკანტური ადგილი იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვალერი მანაგაძემ დაიკავა.

ზვიად სიჭინავა:

– აღმასკომმა დაამტკიცა უმაღლესი ლიგის კალენდარი. მეორე საკითხი, რომელიც განვიხილეთ და დავამტკიცეთ 12-თა საბჭოს მოთხოვნაა, უმაღლეს ლიგაში ლეგიონერების შესახებ შეღავათების დაწესების შესახებ. კლუბებს 3 ლეგიონერის ყოლის უფლება აქვთ, 3-ზე მეტის შემთხვევაში გადაიხდიან გადასახადს. ასევე დავამტკიცეთ ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელთა შტაბები. მათ თემურ ქეცბაიასთან ერთად იმუშავეს 2 დღე. რაც შეეხება ქეცბაიას ინიციატივას, რომელიც ასევე სხვა მწვრთნელების სურვილიცაა, ჩვენ ვთხოვეთ გენერალურ სამდივნოს, რომ მოამზადონ შეთავაზება, რომელსაც კიდევ ერთხელ განვუმარტავთ კლუბების ხელმძღვანელებს. ასევე სურვილი გვაქვს, რომ მაისიდან ლიმიტი დავაწესოთ ლეგიონერებზე. შეიძლება გუნდს ჰყავდეს ლეგიონერები, მაგრამ ქართველებს უფრო მეტი თამაშის საშუალება უნდა მიეცეთ. აღმასკომში შემოვიდა წერილი სამი წევრის გასვლის თაობაზე, რის შედეგადაც აღმასკოვი დატოვეს ლადო ვარძელაშვილმა, დავით ნამგალაურმა და გიორგი აბესალაშვილმა.

რევაზ არველაძე:

– დავამტკიცეთ მეორე ეტაპის კალენდარი, რომლის შედგენაშიც კლუბები იღებდნენ მონაწილეობას, ახალ წლამდეც იყო ამ საკითხზე შეხვედრა, აღმასკომმა შეთანხმებული ვერსია დაამტკიცა. აღმასკომი თავისივე განცხადებით სამმა წევრმა დატოვა, ჯერჯერობით დღევანდელი აღმასკომის უფლებამოსილების ფარგლებში, ერთი წევრი დაგვემატა. ყრილობამდე ის წევრის სტატუსით მიიღებს აღმასკომის მუშაობაში მონაწილეობას. სხვა წევრების მიღებასთან დაკავშირებით ყრილობაზე გადაწყდება, რომელიც მაისში გაიმართება. კლუბების თხოვნა იყო ლეგიონერებთან დაკავშირებით, რომ მათთვის სამი მოთამაშის უფასოდ დამატების უფლება მიგვეცა, ეს საკითხი დავამტკიცეთ. გარდა ამისა, პირველ ლიგაში გუნდებს 2 მოთამაშის დამატების უფლება მივეცით, სხვა უცვლელია.

საქართველოს 2012-2013 წწ 24-ე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპის კალენდარი 1-6 ადგილებისთვის

22 თებერვალი, პარასკევი
სუპერთასი

26 თებერვალი, სამშაბათი
დ. ყიფიანის სახ. თასის მერვედფინალი

2 მარტი, შაბათი
დ. ყიფიანის სახ. თასის მერვედფინალის განმეორებითი მატჩები

9 მარტი, შაბათი
23-ე ტური: დინამო (თბილისი)-ზუგდიდი (ზუგდიდი); დილა (გორი)-ზესტაფონი (ზესტაფონი); ტორპედო (ქუთაისი)–ჩიხურა (საჩხერე);

13 მარტი, ოთხშაბათი
დ. ყიფიანის სახ.თასის მეოთხედფინალი

17 მარტი, კვირა
24-ე ტური: ზუგდიდი-ჩიხურა; ზესტაფონი-ტორპედო; დინამო-დილა;

30 მარტი, შაბათი
25-ე ტური: დილა-ზუგდიდი; ტორპედო-დინამო; ჩიხურა-ზესტაფონი;

6 აპრილი, შაბათი
26-ე ტური: ზუგდიდი-ზესტაფონი; დინამო-ჩიხურა; დილა-ტორპედო;

10 აპრილი, ოთხშაბათი
დ. ყიფიანის სახ. თასის მეოთხედფინალი, განმეორებითი მატჩები

14 აპრილი, კვირა
26-ე ტური: ტორპედო-ზუგდიდი; ჩიხურა-დილა; ზესტაფონი-დინამო;

19 აპრილი, პარასკევი
28–ე ტური: ზუგდიდი-დინამო; ზესტაფონი-დილა; ჩიხურა-ტორპედო;

23 აპრილი, სამშაბათი
დ. ყიფიანის სახ. თასის ნახევარფინალი

27 აპრილი, შაბითი
29-ე ტური: ჩიხურა-ზუგდიდი; ტორპედო-ზესტაფონი; დილა-დინამო;

4 მაისი, შაბათი
30-ე ტური: ზუგდიდი-დილა; დინამო-ტორპედო; ზესტაფონი-ჩიხურა;

8 მაისი, ოთხშაბათი
დ. ყიფიანის სახ. თასის ნახევარფინალი, განმეორებითი მატჩები

12 მაისი, კვირა
31-ე ტური: ზესტაფონი-ზუგდიდი; ჩიხურა-დინამო; ტორპედო-დილა;

18 მაისი, შაბათი
32-ე ტური: ზუგდიდი-ტორპედო; დილა-ჩიხურა; დინამო-ზესტაფონი;

23 მაისი, ხუთშაბათი
დავით ყიფიანის სახ. თასის ფინალი.

ფეხბურთი

ფეხბურთი

აფრიკის ერთა თასი

ზამბია-ეთიოპია 1:1
ნიგერია-ბურკინა ფასო 1:1

ცენტრალური ამერიკის თასი

სალვადორი-პანამა 0:0
კოსტა რიკა-ნიკარაგუა 2:0

ინგლისი. ჩემპიონატი

საუთჰემტონი-ევერტონი 0:0

სატელევიზიო ცხრილი:

1.მანჩესტერი	23	18	2	3	57:30	56
2.სიტი	23	15	6	2	45:19	51
3.ჩელსი	23	13	6	4	47:22	45
4.ტოტენჰემი	23	12	5	6	40:28	41
5.ევერტონი	23	9	11	3	35:26	38
6.არსენალი	22	9	7	6	41:26	34
7.ლივერპული	23	9	7	7	40:28	34
8.ვესტ ბრომვიჩი	23	10	4	9	33:32	34
9.სუონსი	23	8	9	6	34:27	33
10.სტოკი	23	6	11	6	22:27	29
11.სანდერლენდი	23	7	7	9	27:31	28
12.ვესტ ჰემი	22	7	6	9	25:28	27
13.ნორვიჩი	23	6	8	9	24:39	26
14.ფულემი	23	6	7	10	33:40	25
15.საუთჰემპტონი	23	5	8	10	30:40	23
16.ნიუკასლი	23	5	6	12	28:41	21
17.ასტონ ვილა	23	4	8	11	19:44	20
18.რედინგი	23	4	7	12	28:43	19
19.უიგანი	23	5	4	14	25:43	19
20.ქპრ	23	2	9	12	18:37	15

ესპანეთი. ჩემპიონატი დივიზიონი

ბეტისი-ბილბაო 1:1

სატელევიზიო ცხრილი:

1.ბარსელონა	20	18	1	1	66:23	55
2.ატლეტიკო	20	15	2	3	42:18	47
3.რეალი	20	12	4	4	50:20	40
4.ბეტისი	20	11	2	7	31:30	35
5.მალაგა	20	9	5	6	30:17	32
6.რაიო	20	10	1	9	27:36	31
7.ვალენსია	20	9	3	8	27:32	30
8.ლევანტე	20	9	3	8	24:29	30
9.სოსიედადი	20	8	5	7	31:27	29
10.ვალიადოლიდი	20	8	4	8	29:25	28
11.ხეტაფე	20	7	5	8	27:29	26
12.სევილია	20	6	5	9	24:29	23
13.სარაგოსა	20	7	1	12	20:30	22
14.ბილბაო	20	6	4	10	24:39	22
15.ესპანიოლი	20	5	6	9	23:32	21
16.გრანადა	20	5	5	10	18:29	20
17.სელტა	20	5	4	11	20:25	19
18.ოსასუნა	20	4	6	10	16:21	18
19.მალიორკა	20	4	5	11	20:36	17
20.დეპორტივო	20	3	7	10	24:42	16

ჰოხტეგაღია. ა ღიგა

აკადემიკა-ნასიონალი 2:1
მორეირენსე-ბენფიკა 0:0

საბჭოძნეთი. სუპერიგა

ვერია-ლევადიაკოსი 1:2

თურქეთი. სუპერიგა

აკჰისარი-ესკიშეჰირი 1:1
ორდუ-მერსინი 1:1

კალათბურთი

ნბა. ჩემპიონური სეზონი

მემფისი-ინდიანა 81:82
ნიუ ორლეანი-საკრამენტო ... 114:105
ატლანტა-მინესოტა 104:96

ზაზა ფაჩულია: 2 ქულა, 3 პასი

შარლოტი-ჰიუსტონი 94:100
ნიუ იორკი-ბრუკლინი 85:88
გოლდენ სტეიტი-კლიპერსი ... 106:99
ჩიკაგო-ლეიკერსი 95:83
პორტლენდი-ვაშინგტონი 95:98

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

ჯაცები

ფერერი-ალმაგრო 4:6;4:6;7:5;7:6;6:2

ქალები

რადვანსკა ა.-ლი 5:7;3:6
შარაპოვა-მაკაროვა 6:2;6:2

ჰოკეი

ნჰლ. ჩემპიონური სეზონი

ბოსტონი-ვინიპეგი ..... 1:1(1:0ბ)
ნიუ იორკი-ტამპა ბეი 4:3
ნეშვილი-სენტ ლუისი ..... 3:3(0:1ბ)
კოლამბუსი-დეტროიტი ..... 3:3(0:1ბ)
ოტავა-ფლორიდა 4:0
ტორონტო-ბუფალო 1:2
კალგარი-ანაჰაიმი 4:5

ბიოგრაფიული რომანი გალაკტიონზე

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანების ციკლს, რომელიც აქამდე 12 ნიმუშს მოიცავდა, კიდევ ერთი თხზულება შეემატა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით.

ამჯერად მისი მთავარი გმირია გალაკტიონ ტაბიძე, სახელწოდება კი „კომიკოსი ტრაგედიაში“ (მხატვრულად გააფორმა კარლო ფაჩულიამ), რაც ერთი შეხედვით მოულოდნელი ჩანს, მაგრამ როგორც ჩვენთან საუბრისას აღნიშნა ამ წიგნის რედაქტორმა, გალაკტიონოლოგიის ცენტრის დამაარსებელმა თეიმურაზ დოიაშვილმა, ეს სიტყვები ნასესხებია ოთარ ჩხეიძის ფრაზიდან: ტრაგიკოსი კომიკოსის ნიღბით დიდ ეროვნულ ტრაგედიაში, – რომელშიც სახიერადაა გამოთქმული გალაკტიონის ცხოვრების არსი. ეს ის ღრმა, დრამატული კოლიზიის შემცველი ფორმულაა, რომელმაც განსაზღვრა ამ ბიოგრაფიული რომანის კონცეფცია და მკითხველის წინაშე კიდეც ცოცხლდება დიდი პოეტი, როგორც რეჟისორი საკუთარი ცხოვრების დრამისა, რომლის ტრაგიკული ფინალიც დღემდე სინანულად და ტკივილად მოსდევს ჩვენს კულტურულ მეხსიერებას.

მან გამოთქვა ვარაუდიც, რომ: როსტომ ჩხეიძის არაორდინარულ კონცეფციას ალბათ მოპაექრენიც გამოუჩნდებიან და ეს არამარტო ბუნებრივი იქნება, არამედ სასურველიცაა, როგორც მაცნე-ნიშანი ერის კულტურულ სიმბოლოდ ქცეული ფენომენის აქტიური განსჯის თვალსაწიერში მოქცევისა.

თვითონ თეიმურაზ დოიაშვილის ღრმა რწმენით კი: გალაკტიონის აღუსრულებელი სურვილი, შეექმნა ავტობიოგრაფიული თხზულება, თითქოს როსტომ ჩხეიძის კალამს ელოდა, კალამს იმ მკვლევარისა და მწერლისა, ვინც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ახალი ტიპის ბიოგრაფიული რომანი დაამკვიდრა. და ამჯერადაც გალაკტიონის პიროვნებისა და შემოქმედების ამოუწურავ სიღრმეებში წვდომის, თხრობის დინამიკისა და ექსპრესიულობის წყალობით „კომიკოსი ტრაგედიაში“ გამორჩეულ ადგილს დაიჭერს დიდი ქართველი კლასიკოსებისადმი მიძღვნილ საუკეთესო წიგნებს შორის.

როსტომ ჩხეიძემ კი თავის მხრივ განაცხადა, რომ ჩვენს სინამდვილეში თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ახალი დარგი თუ დისციპლინა – გალაკტიონოლოგია, რომელიც თავს უყრის ყველაფერს, რაც აქამდე შექმნილა ამ სფეროში და მიზანსწრაფულად წარმართავს კვლევა-ძიების მდინარებას. და ეს ბიოგრაფიული რომანიც „კომიკოსი ტრაგედიაში“ უშუალოდაა ამოზრდილი ამ დისციპლინიდან, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და დასტური ამ დარგის სრულფასოვნებისა და დასავლური აზროვნებისათვის შესაფერისი რანგისა.

მედიანიუსი

ფაჩულია მოხსნის გარეშე

თორნიკე შენგელია ისევ განაცხადს მიღმაა, ზაზა ფაჩულია კი სასტარტო ხუთეულში აგრძელებს თამაშს. გუშინ, ორივე ქართველის გუნდმა იმარჯვა. თანაც ორივემ საკმაოდ სერიოზული მეტოქე დაამარცხა. ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ მძლავრი, თუმცა ტრავმებით გატანჯულ „მინესოტას“ 104:96 მოუგო, თორნიკე შენგელიას „ბრუკლინმა“ კი ნიუიორკულ დერბიში „ნიუ იორკი“ ამ უკანასკნელის შინაურ არენა „მედისონ სკვერ გარდენში“ დაამარცხა – 88:85.

მე-6 მატჩია, შენგელია ბრუკლინელთა განაცხადში ვერ ხვდება. ფაჩულიამ კი ხუთეულში, თუმც მხოლოდ 15 წუთი ითამაშა და 2 ქულას დასჯერდა. მიმდინარე სეზონში პირველად მოხდა, რომ ქართველმა ცენტრმა მოედანი მოხსნის გარეშე დატოვა. ფაჩულიამ მხოლოდ ერთხელ შეუტია მინესოტელთა ფარს და ისიც შედეგიანად. 2 ქულასთან ერთად ზაზას 3 პასი ჰქონდა, ბურთი კი 2-ჯერ დაკარგა.

23 მოგებითა და 18 წაგებით ატლანტელები აღმოსავლეთში მე-6 პოზიციაზე რჩებიან, ხოლო „ბრუკლინმა“ „ჩიკაგოს“ გადაასწრო და მე-4 ადგილზე აღზევდა.

მომდევნო მატჩს ორივე ქართველის გუნდი 23 იანვარს გამართავს. „ბრუკლინი“ მინესოტაში ითამაშებს, ხოლო „ატლანტა“ შარლოტში „ბობქეთსს“ დაუპირისპირდება.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა, ვიქტორ სანიკიძემ იტალიის სერია ა-ში მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა. ბოლო ტურში „სიენამ“ „რეჯიო ემილია“ 64:49 დაამარცხა და ქართველმა ფორვარდმა ყველაზე მაღალი შედეგი დააფიქსირა. სანიკიძე ბომბარდირი არ გამხდარა, თუმცა საერთო სარგებლიანობის კოეფიციენტი ჰქონდა ყველაზე მაღალი.

შეხვედრა იყო მთლიანობაში მწირქულიანი და შესაბამისად, მოთამაშეებსაც დაბალი შედეგიანობა ჰქონდათ. სიენელთაგან ყველაზე მეტი – 11 ქულა დევიდ მოსმა ჩააგდი, ხოლო დანიელ ჰაკეტმა 10 მოიხვეჭა. სანიკიძემ, რომელიც სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 27 წუთი გაატარა, 6 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ვიქტორმა 5-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

სანიკიძის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 25 შეადგინა, რომლის შემდეგაც სიენელთაგან საუკეთესო შედეგი დანიელ ჰაკეტს ჰქონდა – 15. ასე და ამგვარად, ქართველი ფორვარდი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

12 მოგბისა და 4 წაგების მქონე „სიენა“ მე-3 ადგილზე რჩება, ხოლო მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუ“ (11-5) მეოთხეზეა.

მომდევნო ტურში, 27 იანვარს, „კანტუ“ „რომას“ უმასპინძლებს, ხოლო 28-ში „სიენა“ სტუმრად „ბრინდიზის“ შეხვდება.

მ. ჟ.

ვლადიმერ ვისოცკის თბილისში გაიხსენებენ

ეკა ირემაშვილი

ცნობილ რუს მომღერალსა და მსახიობს ვლადიმერ ვისოცკის თბილისში გაიხსენებენ. ხსოვნის საღამოს ორგანიზატორი საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბია“. 25 იანვარს თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის დიდ დარბაზში გაიმართება საღამო „ია კანეშნა ვერნუს“ (მე, რა თქმა უნდა, დავბრუნდები“, რომელიც ეძღვნება მომღერლის და არტისტის ვლადიმირ ვისოცკის დაბადებიდან 75 წელს.

როგორც საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსული კლუბი“ პიარ-მენეჯერმა ნინო წითლანაძემ განაცხადა, მაყურებლებს ელის ახალი არანჟირება, უჩვეულო შესრულება და ორიგინალური სცენოგრაფია. კონცერტში მონაწილეობენ ირმა სოხაძე, ნუგზარ კვაშალი, ანსამბლი „ფორტე“, ვერიკო ტურაშვილი, სალომე ბაკურაძე, ოთო ნემსაძე, ეკა კვალიაშვილი, თემო საჯაია, „ფანქიდს“ და ბევრი სხვა ცნობილი მომღერალი. ასევე კონცერტში ჩართული იქნებიან შემსრულებლები უცხოეთიდან – მიხაილ გრაცკანი (უკრაინა), არტურ ფედოროვიჩი (ბელორუსი), დავით ხაჩტრიანი (სომხეთი), სამირ რაჯაბოვი და ელხან ჩელაბი (აზერბაიჯანი). საღამოს სპეციალური სტუმარია გერმანიაში მოღვაწე ქართველი მომღერალი მანანა მენაბდე.

– ვლადიმირ ვისოცკი რუსი მუსიკოსი, მსახიობი და პოეტია. მან განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოიპოვა საკუთარი სიმღერების გიტარაზე შესრულებით. XX საუკუნის 70-იან წლებში მის სიმღერებს ყოფილი სსრკ-ის პრაქტიკულად მთელი მოსახლეობა იცნობდა მიუხედავად იმისა, რომ მისი სიმღერები იმდროინდელ საბჭოთა ოფიციალურ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში თითქმის არ ისმოდა. ვისოცკის ეკუთვნის 700-მდე სიმღერა და ლექსი, ითამაშა 30-მდე ფილმში, მონაწილეობდა სპექტაკლებში, კონცერტებით მოიარა თითქმის მთელი ქვეყანა, მიდიოდა გასტროლებზე უცხოეთშიც. სასტიკი ცენზურის პირობებში ვისოცკი ეხებოდა აკრძალულ თემებს, მღეროდა ყოველდღიურ საბჭოთა ცხოვრებაზე, სამამულო ომზე. ყოველივე ამან მას უდიდესი პოპულარობა მოუტანა. სამსახიობო პროფესიის დაუფლებისას პირველ კურსზე ყოფნისას გაიცნო მომავალში თავისი პირველი ცოლი იზა ჟუკოვსკი. ის მუშაობდა პუშკინის სახელობის მოსკოვის დრამატულ თეატრში, სადაც ძირითადად ეპიზოდურ როლებს თამაშობდა. კინოფილმის „713 ითხოვს დაშვებას“ გადაღების დროს გაიცნო თავისი მეორე ცოლი ლუდმილა აბრამოვა. ამავე წელს გამოჩნდა მისი პირველი სიმღერები. სიმღერა „ტატუიროვკა“, რომელიც ლენინგრადში დაიწერა, ითვლება მის პირველ ნამუშევრად. შემდგომში სიმღერა მისი მოღვაწეობის მთავარ სფეროდ იქცა. ორ თვეზე ნაკლები იმუშავა მოსკოვის მინიატურის თეატრში. შექმნა თავისი პირველი სიმღერები კინოფილმებისთვის და მუშაობა დაიწყო მოსკოვის დრამისა და კომედიის თეატრში ტაგანკაზე, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. მან გაიცნო ფრანგი მსახიობი მარინა ვლადი, რომელიც მისი მესამე ცოლი გახდა. მისი პირველი საავტორო ალბომი იყო „სიმღერები კინოფილმიდან „ვერტიკალი“. 1975 წელს ავტორის სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად გამოქვეყნდა ვისოცკის ლექსი ლიტერატურულ კრებულში. მან გაიცნო პარიზში ბოშა მსახიობი და მუსიკოსი ალიოშა დმიტრიევიჩი, რომელთან ერთადაც შემდგომში ხშირად მღეროდა. მათ ერთობლივი ალბომის ჩაწერაც კი ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ ვისოცკის გარდაცვალების გამო ამ პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა. ის თეატრის დასთან ერთად გასტროლებით ნამყოფია ბულგარეთში, უნგრეთში, იუგოსლავიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და პოლონეთში. ჩაწერილი აქვს 10-მდე რადიოსპექტაკლი, ჩატარებული აქვს 1000-ზე მეტი კონცერტი როგორც სსრკ-ში ასევე საზღვარგარეთ. მისი უკანასკნელი კონცერტი 1980 წელს კალინინგრადში შედგა, ამავე წლის 18 ივლისს ვისოცკიმ უკანასკნელად ითამაშა თავისი ყველაზე ცნობილი თეატრალური როლი – ჰამლეტი, შექსპირის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში. ერთ კვირაში დილის 4:10 საათზე ვისოცკი ძილში გარდაიცვალა მოსკოვში თავის ბინაში. მისი სიკვდილის მიზეზად მიოკარდიუმის ინფარქტს ასახელებენ, თუმცა მეორე ვერსიით ის დამამშვიდებელი საშუალებების გადაჭარბებული დოზის მიღებით გამოწვეული ასფიქსიის მიზეზით გარდაიცვალა. ამ ვერსიების მიუხედავად ვისოცკის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი დღემდე უცნობია. ის ვაგანკოვსკის სასაფლაოზე განისვენებს. ამ პერიოდში მოსკოვში ზაფხულის ოლიმპიადა მიმდინარეობდა, ქალაქი გადაკეტილი იყო და მილიცია იცავდა. ვლადიმერ ვისოცკის გარდაცვალების შესახებ ცნობა საბჭოთა საინფორმაციო საშუალებებში თითქმის არ გაცხადებულა, მიუხედავად ამისა, ტაგანკის თეატრთან, სადაც იგი მუშაობდა, უმარავი ხალხი შეიკრიბა და რამდენიმე დღის განმავლობაში არ დაშლილა, გამოსვენების დღეს ახლომდებარე შენობების სახურავებიც კი სავსე იყო ხალხით. მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, გამოქვეყნებულ იქნა ვისოცკის ნაწარმოებთა პირველი კრებული „ნერვი“. მას მიენიჭა რუსეთის ფედერაციის დამსახურებული არტისტის წოდება, მიაკუთვნეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია სატელევიზიო კინოფილმში „შეხვედრის ადგილი უცვლელია“ ჟიგლოვის როლისა და სიმღერათა საავტორო შესრულებისთვის. მისი გარდაცვალებიდან 9 წლის შემდეგ მოსკოვში ვლადიმერ ვისოცკის მუზეუმი შეიქმნა. მომღერლისა და პოეტის პატივსაცემად „ვლადვისოცკი“ ეწოდა ერთ-ერთ ასტერიოდს. ელდარ რიაზანოვმა კი გადაიღო დოკუმენტური ფილმი „სამი შეხვედრა ვლადიმერ ვისოცკისთან“. ვლადიმერ ვისოცკის ძეგლები რუსეთის სხვადასხვა ქალაქებშია განთავსებული და გამოცემულია მისი სახელობის მარკა, – აღნიშნავს რუსული კლუბის პიარ მენეჯერი.

ვლადიმერ ვისოცკის შემოქმედება აქტუალობას არ კარგავს. მისი სიმღერა „დილის გამამხნევებელი ვარჯიში“ ჯგუფისთვის „ა სტუდიო“ ახალი რემიქსის ჩაწერის საბაბი გახდა. ჯგუფში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა ქეთა თოფურიამ და ჯგუფის წევრებმა ვლადიმერ ვისოცკის მეღოდიას სულ სხვა ყღერადობა შესძინეს და მაქსიმალურად თანამედროვე გახადეს. ამჯერად ვლადიმერ ვისოცკის შემოქმედებას უკვე რუსული კლუბის ხელმძღვანელობა გააცოცხლებს და ქართველ მომღერლებთან ერთად გრიბოედოვის თეატრში შეკრებილი საზოგადოებისთვის ახლებურად ააჟღერებს.

დავოსის ფორუმს მედვედევი დაესწრება

დავოსის ეკონომიკურ ფორუმს რუსეთის პრემიერ-მინისტრი დმიტრი მედვედევი დაესწრება. აღნიშნულის შესახებ რუსეთის ვიცე-პრემიერმა არკადი დვორკოვიჩმა განაცხადა.

„ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ არსებული გრაფიკის გათვალისწინებით, ქვეყნის პრემიერი უფრო შეძლებს დავოსში წასვლას, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი“, – აღნიშნა დვორკოვიჩმა.

დავოსში მედვედევს უკვე დაგეგმილი აქვს შეხვედრები დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონთან და შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტ ული მაურერთან

1971 წელს დავოსში პირველად გიამართა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, სადაც მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების განხილვა.

გ. მ.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ობობას მეორე სახელწოდება; 2. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში; 3. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი; 4. ზანგისა და თეთრკანიანის ქორწინების შთამომავალი; 5. სხეულთა წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 6. რაჭალეჩხუმის ისტორიული სახელწოდება; 11. ირმისებრთა ოჯახის ცხოველი; 13. ზამთრის თვე; 14. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 15. ძველებური რუსული ოქროს ფული; 17. მდინარე სამხრეთ ამერიკაში; 18. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 19. ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი.

თარაზულად: 7. ფრანგული საიუველირო ფირმა; 8. ყალბი, საეჭვო დებულების მტკიცება სხვადასხვა ხრიკებით; 9. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 10. ზღვრული გარე მოხაზულობა; 12. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული სუფრის ჯიში; 14. დაბალი დგომა სათხილამურო სპორტში; 16. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 18. დაქირავებული ტაშის დამკვრელი კონცერტზე, წარმოდგენაზე; 20. ხალხური თქმულებები, ლეგენდები; 21. ხელზე მოსამსახურე ბიჭი; 22. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 23. აზრი, ჩანაფიქრი; 24. გერმანიაში გამოყვანილი მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რულადა; 2. საკურა; 3. ენოლოგია; 4. ელიავა; 6. თიკანაძე; 8. ოდისეა; 11. საგურამო; 12. სატურნი; 16. კაფკა; 17. ბლიცი; 18. ბრერა.

თარაზულად: 1. რაფსოდი; 5. ქართუ; 7. ენისელი; 9. აბსურდი; 10. ბავარია; 13. ერლიფტი; 14. ლაღიძე; 15. ბანი; 19. გუდიარი; 20. კლაკიორი; 21. ქაფანიძე; 22. ჯორჯია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რეპლიკა; 2. მზისა; 3. სიგარეტი; 4. ჯამილე; 5. არქტიკა; 6. ვივიენი; 11. ცერნი; 13. მადიარი; 14. ფასანაური; 15. კაბელტოვი; 17. აიმაკი; 18. ორვილე; 19. კაკა.

თარაზულად: 7. მედუზა; 8. ფილანტროპი; 9. გალქსო; 10. რარიტეტი; 12. ფარმაცევტი; 14. ფრანკი; 16. გარდიანი; 18. ოქსიდები; 20. ტვინი; 21. ალი; 22. გაბრიაძე; 23. ალოე; 24. მანომეტრი.

ბარაკ ობამამ, კაპიტოლიუმის შენობის წინ, ფიცი დადო

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ, კაპიტოლიუმის წინ, ფიცი დადო. ცერემონია ადგილობრივი დროით 11.30 წუთზე დაიწყო. როგორც გაზეთი „გარდიანი“ თავის ონლაინ-ტრანსლაციაში იუწყება, 11.55 წუთზე ადგილობრივი დროით, ბარაკ ობამამ, რომელიც უმაღლესი სასამართლოს წევრის, ჯონ რობერტსის წინაშე წარსდგა, ფიცი მიიღო და წარმოთქვა ტექსტი, რომელიც განსაზღვრულია აშშ-ის კონსტიტუციით.

ფიცის ტექსტი ასე ჟღერდა: „მე, ბარაკ ობამა, საზეიმოდ ვფიცავ, რომ პატიოსნად შევასრულებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობას და გავაკეთებ ყველაფერს, რაც ჩემს შესაძლებლობებშია, რათა დავიცვა და მხარი დავუჭირო შეერთებული შტატების კონსტიტუციას“. ობამამ ფიცი ორი ბიბლიის წინაშე წარმოთქვა. მათგან ერთზე 1861 წელს პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლმა დაიფიცა, ხოლო მეორე მარტინ ლუთერ კინგს ეკუთვნოდა.

ცერემონიას ესწრებოდნენ პრეზიდენტის მეუღლე, მიშელ ობამა, მათი ქალიშვილები, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტები, ჯიმი კარტერი და ბილ კლინტონი მეუღლეებთან ერთად, სენატის და კონგრესის წარმომადგენლები, უმაღლესი სასამართლოს წევრები და მრავალრიცხოვანი სტუმრები. თავის საზეიმო გამოსვლაში ობამამ განაცხადა, რომ გააკეთებს ყველაფერ შესაძლებელს, რათა დაიცვას დემოკრატია მთელ მსოფლიოში. იმიგრაციის პრობლემაზე საუბრისას, პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ უცხოელებს, რომლებსაც შეუძლიათ სარგებლობა მოუტანონ აშშ-ს, მიეცემათ საშუალება იცხოვრონ და იმუშავონ მათ ქვეყანაში.

ბარაკ ჰუსეინ ობამა (დ. 4 აგვისტო, 1961, ჰონოლულუ, ჰავაი, აშშ) აშშ-ის 44-ე პრეზიდენტია 2009 წლის 20 იანვრიდან. ნობელის მშვიდობის პრემიის 2009 წლის ლაურეატი. ყოფილი უმცროსი სენატორი ილინოისიდან და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წამყვანი კანდიდატი დემოკრატთა ნომინაციით. პირველი შავკანიანი პრეზიდენტი აშშ-ის ისტორიაში; ასევე აშშ-ის სენატის ისტორიის განყოფილების თანახმად ის მეხუთე აფრო-ამერიკელი სენატორია აშშ-ის ისტორიაში, მესამე, რომელიც სახალხოდ აირჩიეს და ერთადერთი აფრიკელი-ამერიკელი, რომელიც 2008 წლისთვის მსახურობდა სენატში. მეორე ვადით აირჩიეს 2012 წელს.

მსოფლიოში 197 მილიონი უმუშევარია

მსოფლიოში უმუშევართა რიცხვი 2012 წელს 4 მილიონით გაიზარდა და 197 მილიონს მიაღწია. მომავალში კი, მისი კიდევ უფრო მატებაა მოსალოდნელი, – ნათქვამია გაერო-ს საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის მოხსენებაში.

როგორც ორგანიზაცია იუწყება, ყველაზე ცუდი მდგომარეობა ახალგაზრდების დასაქმების მხრივ არის – 24 წლამდე ახალგაზრდების 13 პროცენტი დაუსაქმებელია.

უმუშევართა რიცხვის მატება ძირითადად განვითარებად ქვეყნებში შეინიშნება, თუმცა მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე უსამსახუროდ დარჩენილთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა განვითარებულ ქვეყნებშიც.

მოხსენებაში „გლობალური დასაქმების ტენდენციები 2013“ აღნიშნულია, რომ 2012 წელს მსოფლიოს შრომისუნარიანი მოსახლეობის 6% სამსახურის გარეშე იყო. ამასთან, ერთ წელზე მეტია ევროპის მოსახლეობის მესამედზე მეტი დაუსაქმებელია.

შრომის ორგანიზაციის მონაცემებით, 2012 წელს სამსახურის შოვნის იმედი დაკარგა 39 მილიონმა ადამიანმა, რომელთაც დასაქმების ბირჟიდან საკუთარი ანკეტები მოხსნეს.

„ბუნდოვანმა ეკონომიკურმა პერსპექტივებმა და არაადეკვატური ზომების გატარებამ პრობლემების გადასაჭრელად, ინვესტიციებისა და დასაქმებულთა შემცირება გამოიწვია“, – განაცხადა ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა გაი რაიდერმა.

მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორებიც გერმანია, ავსტრია და შვეიცარიაა, სადაც შენარჩუნებულია ხელობის სწავლება, ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის მაჩვენებელი გაცილებით დაბალია.

ორგანიზაციის ექსპერტების განცხადებით, ბოლო პერიოდში ძალიან მცირე რაოდენობის სამუშაო ადგილი იქმნება.

სპეციალისტების პროგნოზით, შრომის მსოფლიო ბაზარი კრიზისამდელ დონეს საუკეთესო შემთხვევაში 2016 წელს დაუბრუნდება. საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ევროპის ქვეყნები, სადაც მოსახლეობის დასაქმების პრობლემას მთავრობის მკაცრი საბიუჯეტო ეკონომია ამწვავებს.

მოხსენების ავტორთა განცხადებით, 2013 წელს უმუშევართა რიცხვი 5,1 მილიონამდე გაიზრდება, 2014-ში კი 3 მილიონით მოიმატებს.

სირიაში აფეთქებას 30 ადამიანი ემსხვერპლა

სირიაში თვითმკვლელი ტერორისტის აფეთქებას 30 ადამიანი ემსხვერპლა, 50-ზე მეტი კი დაშავდა, – ამის შესახებ „სიენენი“. სირიის ადამიანთა უფლებების დამცველი ობსერვატორიის განცხადებით, აფეთქება ქალაქ ჰამას აღმოსავლეთით, ხალიჩების ძველ ფაბრიკაში მოხდა, სადაც მთავრობის მხარდამჭერი საბრძოლო დაჯგუფება იყო განლაგებული.

როგორც ობსერვატორია იუწყება, იმავე დღეს კიდევ ერთი აფეთქება მოხდა დამასკოს გარეუბანში, სადაც დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. თუმცა, ჯერჯერობით დაუდგენელია შემთხვევის შედეგად დაზარალებულთა რიცხვი.

უფლებადამცველების განცხადებით, 21 იანვრის ღამეს სირიის მასშტაბით მომხდარ აფეთქებებს სულ მცირე 110 ადამიანი ემსხვერპლა.

გაერო სირიაში ჰუმანიტარული კრიზისის დრამატულ ესკალაციაზე საუბრობს. ორგანიზაციის მონაცემებით, ქვეყანას ყოველდღე 3 ათასამდე ადამიანი ტოვებს, მათგან ნახევარი ბავშვია.

ამჟამად გაეროს თანამშრომლების მიერ რეგისტრირებულია 650 ათასი დევნილი.

ორგანიზაცის პროგნოზებით ნახევარ წელიწადში ეს ციფრი გაორმაგდება.

გაერო აცხადებს, რომ დევნილების რაოდენობა იმაზე უფრო სწრფად იზრდება ვიდრე დევნილების დასახმარებლად ფინანსური სახსრების მოძიება ხდება შესაძლებელი.

ასევე გაერო-ს მონაცემებით, სირიაში ორი წლის განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტის შედეგად უკვე 60 ათასი ადამიანია დაღუპული.

პოლონეთი 2015 წლის არჩევნებამდე ევროზონაში გაწევრიანების საკითხს არ გადაწყვეტს

პოლონეთის პრეზიდენტის ბრონისლავ კომოროვსკის თქმით, 2015 წლის არჩევნებამდე ქვეყანა ევროზონაში გაწევრიანების საკითხს არ გადაწყვეტს. „ევროს მიღებაზე გადაწყვეტილებას პოლონეთი 2015 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიიღებს“,-გუშინ, პრეზიდენტმა სახელმწიფო ტელეარხზე გამოსვლისას განაცხადა.

როგორც გამოკითხვები აჩვენებს, ქვეყნის ფულადი ერთეულის ზლოტის გაუქმებას მოსახლეობის მესამედზე ნაკლები უჭერს მხარს. ევროს მისაღებად ქვეყანამ ჯერ კონსტიტუციაში უნდა შეიტანოს ცვლილება. „როიტრის“ ცნობით, გასულ თვეში ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა ჯასეკ როსტკოვსკიმ განაცხადა, რომ ქვეყანა ევრო ზონას რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეუერთდეს.

1989 წლის რევოლუციის შემდეგ, პოლონეთი გათავისუფლდა კომუნიზმისაგან. თანამდეროვე პოლონეთის ტერიტორია იყოფა სავოევოდოებად. პოლონეთი შესულია ევროკავშირში, ნატოში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში.

კონდოლიზა რაისი „სიბიესის“ პოლიტიკური მიმომხილველი გახდა

შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონდოლიზა რაისი „სიბიესის“ პოლიტიკური მიმომხილვე გახდა.

პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, 2009 წლიდან რაისი სტენფორდის უნივერსიტეტში პოლიტოლოგიას კუთხულობს. მან ადრეც გამოთქვა სურვილი, ჟურნალისტად ემუშავა, თუმცა სპორტის მიმართულებით.

ცნობილია, რომ სპორტის მიმართ რაისს დიდი სიყვარული აქვს. თავის დროზე ის ფიგურული სრიალით სერიოზულად იყო გატაცებული, ბოლო 40 წლის განმავლობაში კი მას ამერიკის ნაციონალური საფეხბურთო ლიგის ჩემპიონატის არცერთი ფინალი არ გაუცდენია კონდოლიზა რაისი (დ. 14 ნოემბერი 1954) აშშ-ის სახელმწიფო მდივანი იყო 2005-09 წლებში.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ქ.თბილისის მე-60 საჯარო სკოლის პედკოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი

მალული ჩხაიძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

დაკრძალვა: 24 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: დოლიძის XV კორპუსი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო (1998-2005 წწ.) ღრმა მწუხარებით იუწყება ყოფილი მოსამართლის, კეთილშობილი პიროვნების

ჯეირან აქირთავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება: 24 იანვარს, 14 საათზე, ლაზარეს სახელობის ტაძრიდან (კინოსტუდიის (დიღმის მასივი) ეზოში).

შვილები რუსუდან, ცისანა, დავით, რძალი ინგა ძანძავა, სიძეები მურად ანჯაფარიძე, გურამ (მირიან) ოდიშარია ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ტატიანა დავითის ასულ ბიგვავა-შარანგიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 23 იანვარს, 17 საათზე, ნუცუბიძის III პლატო, I კვარტალი, XVI კორპუსი, ბინა 49 (IX სართული).

გამოსვენება: 24 იანვარს, 14 საათზე, ილია წინასწარმეტყველის ეკლესიიდან (ალ.ყაზბეგის 34 „შანხაი“).

პეტრე ბერაია, დემურ გადელია, სოსო გადელია, ვიტალი ხაზარაძე, ვალერი კვარაცხელია, ივერი ჭელიძე, საველ მარსაგიშვილი, რომან კვაჭაძე, ვახტანგ კიკნაძე, ვანო ყულიჯანიშვილი, გურამ ვახტანგიშვილი, თენგიზ კალანდაძე, ელიზბარ ლომინაძე მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის, მელორ ტყეშელაშვილის ძმის

კარლო ტყეშელაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს თვითდასაქმებულთა, ვაჭრობისა და ინდივიდუალური წარმოების სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი დიდი მწუხარებით იუწყება კულტურის ცენტრის დირექტორის, ქალბატონი დოდო ჩაჩავას დედის

ლიდა კირთაძე-ჩაჩავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი 23 იანვარი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** „ჩვენი დილა“ (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.20** „მოამბე“ **10.30** „დილის საუბარი“ **11.00** „სამოთხის ვაშლები“ **12.45** „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია **13.30** „დღეს ორის ნახევარზე“ **15.00** ტ/სერ „როსელა“ (U) **17.00** „გურმანია“ **18.00** „პეპე და მეგობრები“ **19.05** ტ/სერ „სიცხლი და ვარდი“ (U) **21.00** ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკო“ (U) **22.00** „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ **23.00** „სი-ბემოლი“ **23.40** მხ/ფ „პოსეიდონი“ (კრასელი) (12) **01.40** მხ/ფ „დაძაბე გონება“ (ტიტ.) (ე.ჰეტეუეი) (U)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00** „ბრიფინგის დრო“ **11.00** დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ **14.00** დ/ფ „ოთხგანზომილებიანი ატლასი“ I ნაწილი **16.00** დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებები“ მე-2 ნაწილი **19.00** ტ/სერ **22.00** „თავისუფალი ტრიბუნა“ (პ/ე) **00.00** „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. „ილბლიანი მოახლე“ **11.30** სერ. „უკვდავი ამბავი“ **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. „გაქცევა– 4“ 2 სერ. **14.45** სერ. „24 – 4“ **15.45** სერ. „დამალული სიმართლე“ **17.40** სერ. „თილისმა“ **18.50** სერ. „სახიფათო ვნება“ **21.00** სერ. „მარტოსული“ **22.00** ქ.სერ. „შუა ქალაქში“ (გ/ჩ) **23.00** სერ. „ღვინის გზა“ **00.15** მხ/ფ. „ფინალური თამაში“ (ჯ.ვუდსი) **01.55** მხ/ფ. „ნედ კელი“ (ნ. უოტსი) (ტიტ.) **04.25** მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. „სიყვარული მშვენიერია“ **11.00** სერ. „იდუმალი ქალი“ **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** „შუა დღე“ **15.30** შერეკილები **17.00** სერ. „ვნების უფსკრული“ **18.45** სერ. „მგზნებარე გული“ **19.50, 20.05** სერ. „ღირსება და ამბიცია“ **22.00** სერ. „ჩემი ცოლის დაძალები“ (ს.2) **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** მხ/ფ „ლესი“ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი“ **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** შარავანდედი გად. 4 **11.00** დოკ/ფ „ღალიის ღვთისმშობელი“ **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** კონცერტი-რუსუდან სებისკვერაძე **14.50, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ „ველური ბუნება“ **15.55** დოკ/ფ „ლადო ასათიანი“ **16.45** კვირიაკე **18.05** ტელეზღაპარი **18.15** დეკორატიული ფლორა **18.25** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ „გაზაფხული გადის“ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** დოკ/ფ „სხვა რამ არ მწამდა სამშობლოზე წმინდათა წმინდა“ ირაკლი აბაშიძე **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ „ხსოვნა“ I ნაწილი **02.05** ირაო

მაესტრო **7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00** ახალი ამბები **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 22.20** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ **20.05, 0.30** თოქ-შოუ „არგუმენტები“ **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.15** ყოველდღიური აბები **0.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6582	ევრო — 2,1994
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870	რუსული რუბლი — 0,0548

ამინდის პროგნოზი 23 იანვრისთვის

„ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 1 ამერიკული ზღაპრები



მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

ილია II ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი

გურამ საღარაძე დიდუბის პანთეონში დაკრძალეს



რუსთაველის თეატრის მსახიობი გურამ საღარაძე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. სამოქალაქო პანაშვიდი რუსთაველის თეატრში გაიმართა, სადაც მსახიობმა 60 წელი გაატარა. მან ქართულ თეატრსა და კინოში დაუვიწყარი სახეები შექმნა, თუმცა მაყურებელს მაინც გამორჩეულად დაამახსოვრდა რობერტ სტურუას მიერ დადგმული გენიალური სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“ გურამ საღარაძის გმირი და მის მიერ ნათქვამი ფრაზა „რასაც ვაკეთებ, ლაზათიანად ვაკეთებ“. ეს სიტყვები ზუსტად შეეფერებოდა მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მან არა მარტო თეატრში, არამედ კინოშიც დასამახსოვრებელი სახეები შექმნა. კიდევ ერთი, რითიც გურამ საღარაძემ მაყურებელს თავი შეაყვარა – მხატვრული კითხვაა, მის მიერ წაკითხული ლექსები ყველა თაობის მსმენელს აღაფრთოვანებდა.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ასტროპროგნოზი 23 იანვრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
ეს დღე მშვიდად გაატარეთ

ვერძი – ძვირფას საჩუქრებს ელოდეთ. **კურო** – მშვიდად იმოქმედეთ, არ გარისკოთ. **ტყუპები** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – ახალი პროექტი ფულს მოგიტანთ, გიხარიათ. **ქალწული** – თავს მიხედეთ, არ გადაიღალოთ. **სასწორი** – თქვენი საქმე კარგად მიდის, პრობლემები არ გაქვთ. **ღრიანკალი** – ნუ აყვებით პროვოკაციას, თქვენი საქმე აკეთეთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – დაისვენეთ, გამოიძინეთ, შეხვედრა გაქვთ. **მერწყული** – ფიქრებში ხართ გართული, ნუ მოსწყდებით რეალობას. **თევზები** – შემოქმედებითი დ1ღეა, უფროსობა გწყალობთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ა

შვეულად: 1. მწვანე ფერის ციტრუსოვანი მცენარე; 2. საჭმელი სოკო; 3. სარკაზმული პუბლიცისტური ნაწარმოები; 4. წყალი მყარ მდგომარეობაში; 6. ფოტოჟურნალისტთა მეტსახელი; 8. ლომების ჯოგი; 11. ებრაული სამლოცველო; 12. ჰაერის გაუხშოებული მდგომარეობა ჭურჭელში, სიცარიელე; 16. პატარა საცხოვრებელი სახლი ჩინეთში; 17. მუსლიმანური კალენდარი; 18. სპირტიანი სასმელი.

თარაზულად: 1. მარგალიტის ყელსაბამი; 5. რაიმეს მიმდინარეობის, განხორციელების სისწრაფე; 7. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 9. ხეხილის ბაღი; 10. პარიზის ძველი სახელწოდება; 13. ძვლისმაგვარი ნივთიერება, კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; 14. დამოუკიდებელ ფერმერთა გაერთიანება, დასახლება ისრაელში; 15. ქართული მითოლოგიის გმირის ამირანის დედა; 19. უნგრული წვნიანი კერძი; 20. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში; 21. მარტივი, უმოტორო საფრენი აპარატი; 22. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



მსოფლიოს ყველაზე სასურველი სასიძოები

ბრიტანულმა ჟურნალმა „თაუნ ენდ ქანთრიმ“ შეადგინა მსოფლიოს ყველაზე სასურველი სასიძოების სია.

სიაში პირველ პოზიციებზე აღმოჩდნენ მსახიობები, მუსიკოსები, მწერლები, სპორტსმენები, ბიზნესისა და სამეფო დინასტიის წარმომადგენლები.

ტენდენცია სასურველი სასიძოს შეჩევასთან დაკავშირებით ბოლო წლების განმავლობაში არ იცვლება.

ნიშანდობლივია, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები უპირატესობას სახელოვან ადამიანებს ანიჭებენ, შემდეგ მოდის სახელისა და სიმდიდრის თანხვედრა.

სასურველი სასიძოების სიის პიველი სამეული კი ასე გამოიყურება პრინც ჰარი, დიზაინერ რალფ ლორენის უფროსი ვაჟი და წარმატებული გოლფერი ადამ სკოტი.

ამ ფონზე, ბრიტანელმა ბრინცმა ავღანეთში სამხედრო სამსახური დაასრულა და სამშობლოში ბრუნდება. ამის შესახებ „ასოშეიეიდ პრესი“ ქვეყნის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება. თუმცა, თავდაცვის უწყებამ ჯერჯერობით არ დააკონკრეტა, უკვე დატოვა პრინცმა ქვეყანა თუ არა.

პრიცმა ჰარიმ ავღანეთში 20 კვირა გაატარა. ის პროვინცია ჰელმანდში, „კემპ ბასტიონის“ ბაზაზე იმყოფებოდა და მოიერიშე ვერტმფრენის, „აპაჩის“ მეორე პილოტ-მსროლელის ფუნქციას ასრულებდა. პრინცის ბაზაზე ჩასვლისთანავე, თალიბებმა მასზე იერიში მიიტანეს, თუმცა, სამეფო ოჯახის წევრი არ დაზარალებულა. 2012 წლის დეკემბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრიცმა ისლამისტური დაჯგუფება „თალიბანის“ ერთ-ერთი ლიდერი გაანადგურა. ერთ-ერთ ინტერვიუში პრინცმა აღიარა, რომ სამხედრო სამსახურის დროს მას მოუწია თალიბების დახოცვა, თუმცა, დეტალები არ დაუკონკრეტებია.

ბრიტანეთის სამეფო ოჯახის უმცროსი წევრისათვის, ეს მეორე სამხედრო სამსახური იყო ავღანეთში. პრიცმა ჰარიმ ამავე ქვეყანაში 2007-08 წლებშიც იმსახურა, თუმცა, მაშინ მისი მალე დაბრუნების აუცილებლობა შეიქმნა, რადგან პრინცის ადგილსამყოფელის ზუსტი კოორდინატები მედიამ გაახმაურა.

გ. მ.



ფიგურისტები დღეს დაიწყებენ

გუშინ ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ჩემპიონატი დაიწყება, სადაც სხვებთან ერთად ქართველი მოციგურავეებიც გამოვლენ.

ევროპირველობაზე დღეს ოთარ ჯაფარიძისა და ანგელინა ტელეგინას მოცეკვავეთა წყვილი ისრიალებს, ხოლო 25 იანვარს ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს ორგზის პრიზიორი ელენე გედევანიშვილი შეჯიბრებაში მოკლე პროგრამით ჩაერთვება.

შეგახსენებთ, რომ ოთარ ჯაფარიძე დიდი ხნის მანძილზე ამერიკელ ალისონ რიდთან ერთად ქმნიდა დუეტს და მათ ვანკუვერის ოლიმპიადაზეც მოსინჯეს ძალები, თუმცა 2011 წელს ეს წყვილი დაიშალა და ახლა ქართველი მოციგურავე ანგელინა ტელეგინას დაუწყვილდება.

ელენე გედევანიშვილს კი, ამჟამად ბრაიან ორსერი ავარჯიშებს. მწვრთნელმა და შეგირდმა ევროპის ჩემპიონატისთვის ახალი მოკლე და თავისუფალი პროგრამები – ჯონ უილიამსის „შინდლერის სია“ და ლეონ მინკუსის „დონ კიხოტი“ მოამზადეს, რამაც გულშემატკივრებში დიდი მოწონება დაიმსახურა.

კონტინენტის პირველობაზე ქართველი მსაჯიც იქნება – ფიგურული ციგურაობის ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი სალომე ჩიგოგიძე.

მ. ჟ.